



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისური ენა და ლიტერატურა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი, 2024 წლის 22 მარტი

ანგარიშის წარდგენის თარიღი, 2024 წლის 5 ივნისი

თბილისი

შინაარსი

<u>I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ</u>	Error! Bookmark not defined.
<u>II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა</u>	Error! Bookmark not defined.
<u>III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან</u>	Error! Bookmark not defined.
<u>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</u>	Error! Bookmark not defined.
<u>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</u>	Error! Bookmark not defined.
<u>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</u>	Error! Bookmark not defined. defined.3
<u>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</u>	Error! Bookmark not defined.5
<u>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</u>	Error! Bookmark not defined.0

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნიჰადა დელიგებოვიჩ ჯანიჩი, ტუზლას უნივერსიტეტი, საჯარო ინსტიტუტი, ბოსნია და ჰერცეგოვინა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რევაზ ტაბატაძე, სსიპ - საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოფიო თოთიბაძე, სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიკა კვინჩია, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი, საქართველო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ინგლისური ენა და ლიტერატურა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	English language and literature
უმაღლესი განათლების საფეხური	VI
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	არ არის მითითებული

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

ინგლისური ენა და ლიტერატურა ბაკალავრიატის დონეზე

ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 240 ECTS. სავალდებულო კომპონენტები: 180 ECTS, მათ შორის: უნივერსიტეტის სავალდებულო სასწავლო კურსები (12 ECTS), ფაკულტეტის სავალდებულო სასწავლო კურსები (9 ECTS), სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (159 ECTS). არჩევითი კომპონენტები მოიცავს 60 ECTS-ს, მათ შორის: უნივერსიტეტის არჩევითი სასწავლო კურსები – (10 ECTS), ფაკულტეტის არჩევითი სასწავლო კურსები – (8 ECTS), სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (27 ECTS) და თავისუფალი კომპონენტები: 15 ECTS კრედიტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტი შედგა 2024 წლის 22 მარტს. 2024 წლის 1 და 15 მარტს, ექსპერტთა ჯგუფმა გამართა მოსამზადებელი შეხვედრები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან, ცენტრის მიერ მოწოდებული Zoom ბმულის მეშვეობით.

ამ შეხვედრის ფარგლებში განიხილეს და დააზუსტეს შეფასებასთან დაკავშირებული აუცილებელი საკითხები. ექსპერტთა ჯგუფს ეფექტური მხარდაჭერა გაუწიეს ცენტრის წარმომადგენლებმა, რომლებიც უნივერსიტეტში განხორციელებულ ვიზიტს ადგილზე ფიზიკურად ესწრებოდნენ. ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი იყო ეფექტიანი თარგმანი. ექსპერტთა ჯგუფი, კერძოდ კი ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, უაღრესად მაღლიერია ყველა იმ პირისა, ვინც ადგილზე ვიზიტის მომზადებაში მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებით, მაღლობას იმსახურებენ ცენტრის წარმომადგენლები, რომელთაც პროცესის შეუფერხებელად ჩატარება უზრუნველყვეს. ცენტრის წარმომადგენლები მუდმივად ხელმისაწვდომი იყვნენ ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის. ანგარიში დაწერა მთელმა ჯგუფმა. კომენტარებსა და შეფასებასთან დაკავშირებით საერთო კონსულტაციის მისაღწევად, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის რამდენიმე ონლაინ შეხვედრა გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფი უაღრესად მაღლიერია მთელი ჯგუფისა, მათი აქტიური და ეფექტური ჩართულობის გამო.

ექსპერტებისთვის მიწოდებული ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია იყო სათანადო და განახლებული. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ყველა დოკუმენტი ძალიან მოკლე დროში მოგვანაწილა. დოკუმენტების უმეტესობა ხელმისაწვდომი იყო როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გასაუბრებოდნენ დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის უნივერსიტეტის მენეჯმენტს, ფაკულტეტის მენეჯმენტს, აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს და სტუდენტებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს უნივერსიტეტის ობიექტები და ბიბლიოთეკა.

⁴პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შინაარსი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა	ნაწილობრივ შესაბამისობა შიამოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, რათა პროგრამის მიზნები მიღწევადი იყოს.
2. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების ზედმიწევნით გადახედვა და მათი ჰარმონიზაცია პროგრამის სწავლის შედეგებთან.
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მათი შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის ძირითად საგნებთან.
4. რეკომენდებულია, სწავლის შედეგის გადახედვა უნარების ნაწილში, რადგან პროგრამის რეალისტური შედეგი იქნება: „კურსდამთავრებული პრობლემებისა და თემების ფართო სპექტრზე კომუნიკაციას ახდენს მინიმუმ B2 დონეზე, უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული კომპეტენციების შესაბამისად: სწავლა, სწავლება, შეფასება (CEFR).“
5. რეკომენდირებულია, დაკორექტირდეს სასწავლო კურსებთან სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რათა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების ზუსტი ანალიზი და განისაზღვროს დარგობრივი კომპეტენციების მიღწევადობა;
6. რეკომენდებულია, ინგლისური ენის ტესტის ჩატარება და ჯგუფებში სტუდენტების გადანაწილება ინგლისური ენის ფლობის დონის შესაბამისად;
7. რეკომენდებულია, სახელწოდება შეეცვალოს კურსებს FCE და Teaching Methods (TKT).
8. რეკომენდებულია, კურსების დახარისხება დარგების მიხედვით.
9. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა და რიგ სილაბუსებში პროგრამის შინაარსისა და მოსალოდნელი შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა;

10. რეკომენდებულია, პროგრამისა და სასწავლო კურსების სტრუქტურის გადახედვა მათი წინაპირობების და სემესტრული განლაგების დაზუსტების მიზნით;
11. რეკომენდებულია, კომპეტენციის მაფორმირებელი საგნების გადახედვა და კრედიტების რაოდენობის გაზრდა;
12. რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსი - „კვლევის მეთოდები და პროექტის არქიტექტურა“, შეიცვალოს მისი მიზანი და მასში შეიტანოს ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც უშუალოდ ეხება ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდებს.
13. რეკომენდებულია, კურსებისთვის სათანადო სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმების განსაზღვრა, ამ კურსების სპეციფიკის, სირთულისა და ტრანსფერულობის შესაბამისად.
14. რეკომენდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უსდ-ს მიერ დაწესებული ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარის გაზრდა.
15. რეკომენდებულია, რომ სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში სწავლების გარდა, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკის გავლის სხვა შესაძლებლობებიც.
16. კურსი „პრაქტიკა“ შეიძლება გახდეს არჩევითი, ან სწავლების მეთოდოლოგიაზე ფოკუსირებული საგნები (სწავლების მეთოდოლოგია (TKT)) შეიძლება, რომ გახდეს სავალდებულო.
17. საგანი „კვლევის მეთოდები და საბაკალავრო პროექტის არქიტექტურა“ შეიძლება დაიყოს ორ ცალკეულ კურსად. გარდა ამისა, კურსი „კვლევის მეთოდები“ უნდა გადაიხედოს და მოერგოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდოლოგიის საჭიროებებს.
18. რეკომენდებულია, ზოგადად შეფასების სისტემის გადახედვა და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლების მეთოდების ადაპტირება.
19. რეკომენდებულია, რეაგირება მოახდინოთ იმ ფაქტზე, რომ სტუდენტებს არასაკმარისი ინფორმაცია მიეწოდებათ აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით; უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს ყოვლისმომცველი ზომები, ამ მხრივ სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად და ეთიკური ქცევის ხელშესაწყობად.
20. რეკომენდებულია, რომ ყველა კურსისთვის შეირჩეს შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი.
21. რეკომენდებულია, დეპარტამენტში თანახელმძღვანელის თანამდებობის გამოყოფა, რომელიც შეავსებს არსებულ ხელმძღვანელს. თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელიც მჭიდროდ შეესაბამება დეპარტამენტის სფეროს.
22. რეკომენდებულია, გადაიხედოს უნივერსიტეტის დატვირთვის სტრუქტურა, რათა ჩაითვალოს კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის საათები, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მრავალმხრივი პასუხისმგებლობის თანაბარ აღიარებას და მხარდაჭერას.
23. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის ვორქშოპების რეგულარულად მომზადება, რათა გაეცნონ ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებულ სიახლეებს და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შიდა ხარისხის განვითარებაში;
24. რეკომენდებულია, გარე კოლეგიური შეფასების არეალის გაფართოება საქართველოს შრომის ბაზარზე ამ საგანმანათლებლო პროგრამის მართებულობის წარმოჩენის და ინტერნაციონალიზაციის ფარგლების და ხარისხის გაფართოების და განვითარების ახალ ეტაპზე გადაყვანის მიზნით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

1. სასურველია, ინგლისურენოვანი კურსების რაოდენობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

2. სასურველია, დაწესებულებამ მოამზადოს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების სიღრმისეული შედარებითი ანალიზი, რათა გამოიკვეთოს ამ პროგრამის ადგილი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში;
3. სასურველია, პროგრამაში უცხოელი პროფესორების ჩართვა.
4. სასურველია, პროგრამის გადახედვა (სასწავლო კურსების სირთულისა და წინაპირობების გათვალისწინებით) და საგნების სემესტრული განაწილების შეცვლა;
5. სასურველია, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების სემენტის სხვა ევროპული ენებით გამდიდრება.
6. სასურველია, კურსების „ინგლისის ისტორია“ და „ბრიტანული და ამერიკული კულტურა“ სტატუსის შეცვლა და მათ არჩევით კურსებად გადაკვალიფიცირება“.
7. სასურველია, დაემატოს დარგობრივი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, განსაკუთრებით დარგში დოქტორის ხარისხით, რაც მოგვცემს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ადეკვატურ რაოდენობას.
8. სასურველია, დაწესებულებამ, ახალი საგანმანათლებლო პროგრამისთვის, ყოველთვის წარმოადგინოს პოტენციური საბიუჯეტო დეტალურად ჩაშლით, რათა ექსპერტთა ჯგუფმა სრულყოფილი წარმოდგენა იქონიოს საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოთვლილი საბიუჯეტო ნაწილის მონაცემებზე შემდგომში პროგრამის წარმატებულ განხორციელებასთან მიმართების კონკრეტული ხედვები ჩამოყალიბების მიზნით.
9. მონიტორინგის ფარგლებში, პროგრამის ფუნქციონირების დაწყებამდე, სასურველია, გადახედოთ ექსპერტების მიერ გაკეთებულ ყველა რეკომენდაციას, მიუხედავად იმისა, რომ შეთავაზებული სასწავლო პროგრამა ახალია.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**
შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ ინფორმირებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის გადაცემულ აკრედიტაციის ანგარიშის პროექტის შინაარსის თაობაზე. უსდ იზიარებს ექსპერტთა კოლეგიის მიერ შემოთავაზებულ გარკვეულ წინაპირობებს. ამ განყოფილებაში ჩვენ პირველ რიგში განვიხილავთ ყველა რეკომენდაციას, რასაც მოჰყვება უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებითი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რატომ არ ეთანხმება კოლეგია უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებულ პოზიციას და ინარჩუნებს რეკომენდაციას.

რეკომენდაცია #1 „რეკომენდებულია შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, რათა პროგრამის მიზნები მიღწევადი იყოს“.

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

რეკომენდაცია #2 „რეკომენდებულია პროგრამის მიზნების გადახედვა და იმის უზრუნველყოფა, რომ შრომის ბაზრის საჭიროებები, მოთხოვნები და ტენდენციები, ასევე საერთაშორისო დასაქმების ბაზრის საჭიროებები იყოს დაკმაყოფილებული“.

პასუხი:

ეს ორი რეკომენდაცია აბსოლუტურად ერთსადაიმავე შინაარსს ატარებს, მხოლოდ წინადადებებია სხვადასხვაგვარად დაწყობილი. ორივე შემთხვევაში ექსპერტები რეკომენდაციას გვაძლევენ, რომ ღრმად შევისწავლოთ „შრომის ბაზრის საჭიროებები და მოთხოვნები, აგრეთვე საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციები და მოთხოვნები, რათა მიღწეულ იქნას პროგრამის მიზნები“.

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს დასაქმების ბაზრის კვლევა, რომლის მთავარი მიზანია შეაფასოს შრომის ბაზარზე ინგლისური ენის (ფილოლოგიის) საბაკალავრო პროგრამის აქტუალობა და გამოკვეთოს დამსაქმებლებისათვის მნიშვნელოვანი ის საკითხები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს პროგრამის სასწავლო მიზნებისა და ამოცანების ფორმირებაზე.

კვლევა ორიენტირებულია ისეთ ამოცანებზე, როგორცაა:

- დამსაქმებელთა ძირითადი მოთხოვნების დადგენა;
- შრომის ბაზრის საჭიროებების, მათ შორის რამდენად დგას დასაქმების ბაზარზე ინგლისური ენის ფილოლოგიის სპეციალობის მქონე ახალი კადრების საჭიროება, შეფასება;
- იმ კრიტერიუმების პოვნა, რომლითაც დამსაქმებლები ხელმძღვანელობენ კადრების დასაქმებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შედგენის პროცესში;
- იმ ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა, რომლებიც საბაკალავრო პროგრამას და მის კურსდამთავრებულებს დასაქმების ბაზარზე უპირატესობას მოაპოვებინებს.

რაც შეეხება საკითხს, არის თუ არა გათვალისწინებული ჩვენს მიერ წარმოდგენილ კვლევაში საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციები და მოთხოვნები, როგორც დასაქმების ბაზრის კვლევიდან ვკითხულობთ,

„მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ბაზარზე კადრებზე მოთხოვნა მზარდია, რაც განპირობებულია საქართველოს ეკონომიკური სივრცის საერთაშორისო შრომით ბაზართან მაღალი ინტენსივობის ინტეგრაციით და უცხოური ინვესტიციების შემოდინებით“.⁶

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>

⁶ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>

ამავე კვლევაში ვკითხულობთ, „ბოლო 2 წლის ტენდენცია⁷ აჩვენებს, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება მოითხოვს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პროცესში საუნივერსიტეტო სწავლების როლის ზრდას, რადგან ახალი სამუშაო ადგილების დიდი ნაწილი სწორედ ისეთ სფეროებში იქმნება, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ ქართულ, ასევე საერთაშორისო შრომით ბაზარს“.

„მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დიდია ორგანიზაციის საერთაშორისო ურთიერთობების მოცულობა, ის საჭიროებს საერთაშორისო საკომუნიკაციო ენის მცოდნე მინიმუმ ერთ თანამშრომელს მაინც, რაც საბოლოო ჯამში ქმნის მუდმივად მზარდ მოთხოვნას ისეთი ენის სპეციალისტებზე როგორც ინგლისურია“.

<https://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Pages/User/eBooks.aspx>

რაც შეეხება საკითხს, მოეთხოვებოდა თუ არა უნივერსიტეტს შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, ვუპასუხებთ, რომ სტანდარტის 1.1 პროგრამის მიზნების თანახმად,

შეფასების კრიტერიუმია:

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს;

ინდიკატორი/მტკიცებულებები:

შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი

არსად არ არის მითითებული, რომ უნივერსიტეტი ვალდებულია წარმოადგინოს საერთაშორისო შრომის ბაზრის კვლევა, მით უფრო თუ პროგრამა ქართულენოვანია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ექსპერტთა #1 და #2 რეკომენდაციებს ვერ დაეთანხმება.

რეკომენდაცია 1

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და საჭიროებები მხოლოდ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული. შრომის ბაზრის პოტენციური საჭიროებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჩატარდა ბაზრის კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა პროგრამის შეფასებას დამსაქმებლების მიერ. უსდ არ დაუკავშირდა ინგლისური ენისა და ლიტერატურის დარგის ძირითად დაინტერესებულ მხარეებს, რაც დადასტურდა კიდევ

⁷ <https://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Pages/User/eBooks.aspx>

გასაუბრების დროს. ეს, სამწუხაროდ, არ გვამღვეს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველ სურათს. ადგილზე ვიზიტის დროს უსდ-ის წარმომადგენლებმა ასევე განმარტეს, რომ მხოლოდ ადგილობრივ შრომის ბაზარზე მათი ორიენტაციის საფუძველი არის სწავლების ენა, ანუ ქართული ინგლისური კომპონენტით. გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და საჭიროებები, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი გვიჩვენებს, რომ უსდ-მ მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმი შექმნას პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომლებიც ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში მთავარ დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ. ამით უზრუნველყოფილი იქნება ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნების და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების შესრულების უწყვეტობა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია.

რეკომენდაცია 2 „რეკომენდებულია პროგრამის მიზნების გადახედვა და იმის უზრუნველყოფა, რომ შრომის ბაზრის საჭიროებები, მოთხოვნები და ტენდენციები, ასევე საერთაშორისო დასაქმების ბაზრის საჭიროებები იყოს დაკმაყოფილებული“.

ექსპერტთა ჯგუფმა გააუქმა რეკომენდაცია 2

რეკომენდაცია #3 „რეკომენდებულია პროგრამის მიზნების საფუძვლიანად გადახედვა და მათი ჰარმონიზაცია პროგრამის სწავლის შედეგებთან“.

პასუხი:

მსჯელობისას ექსპერტები ამბობენ, რომ „მიზნები დაკავშირებულია პროგრამის მოსალოდნელ შედეგებთან და რომ ეს კავშირი აშკარად ჩანს პროგრამის ნარატივში“ (გვ.13). აღნიშნული ჩანაწერი სრულიად გამორიცხავს მე-3 რეკომენდაციის არსებობის უფლებას.

მიზანი 1. რეკომენდაციას ვერ დავეთანხმებით, რადგან მიზანი მიმართულია ოთხი უნარის - მეტყველების, წერის, კითხვისა და მოსმენის განვითარებაზე, რაც მიუთითებს ენის შესწავლის კომპლექსურ მიდგომაზე. ამასთან, ენის შესწავლა, დამოკიდებულია კულტურულ და სოციალურ ფაქტორებზე, რომლებიც მოიცავს, როგორც ლინგვისტურ გარემოს, ასევე უცილობლად, ოჯახურ დინამიკას და კულტურულ პრაქტიკებს. მეორე ენის შესწავლის შემთხვევაში იგულისხმება განსხვავებული კულტურული და ლინგვისტური კონტექსტის გამოცდილება, რაც გავლენას ახდენს სწავლის პროცესზე და ენობრივი უნარების განვითარებაზე. მიზანი გათვლილია 4 ინდივიდუალური უნარის ჩამოყალიბებაზე და გაუგებარია, რატომ გახდა ამ საკითხის რეკომენდაციაში გამოტანის აუცილებლობა.

მიზანი 2. რეკომენდაციას ვერ დავეთანხმებით, რადგან პირველი მიზანი მიმართულია ოთხივე უნარის (მეტყველება, წერა, კითხვა და მოსმენა) განვითარებაზე ანუ ცალკეული უნარების გაძლიერებაზე, ხოლო მეორე მიზანი ემსახურება არა მხოლოდ ცალკეული უნარების განვითარებას, არამედ ამ უნარების ინტეგრირებულ და ეფექტურ გამოყენებას. თუ პირველი მიზანი ფოკუსირებულია ენის ოთხივე უნარის განვითარებაზე, მეორე მიზანი უზრუნველყოფს აუცილებელ სიღრმეს უფრო კონკრეტული დონის კომპეტენციის

მისაღწევად. მეორე მიზანი პირდაპირ ეხება ფართო სპექტრის პრობლემებსა და თემებზე კომუნიკაციის უნარს B2+ დონეზე, რაც მოითხოვს სწავლებისა და პრაქტიკის უფრო მიზანმიმართულ მიდგომას. ეს სცილდება მხოლოდ ენის ცალკეული უნარების განვითარებას. შესაბამისად, მიზნები ერთმანეთს ავსებს და აძლიერებს.

მიზანი 3. ექსპერტის მსჯელობა არაა გამყარებული არგუმენტებით, როდესაც ის ამბობს, რომ ეს „ცუდად დაწერილი მიზანია“. ასევე, გაუგებარია რას გულისხმობს ექსპერტი „ცუდად“ დაწერილში.

მიზანი მოიცავს რამდენიმე ასპექტს, ის ასახავს ენის, კულტურისა და ისტორიის ურთიერთკავშირს, რომლებიც არის ინგლისური ენისა და ლიტერატურის შესწავლის აუცილებელი კომპონენტები. შესაბამისად, ამ ელემენტების კომბინაცია მიზნის ძლიერი მხარეა, რადგან იგი სთავაზობს საგნის ყოვლისმომცველ გაგებას. ამ მიზანთან მიბმულია კურსები: „ინგლისის ისტორია“, „ინგლისური ენის ისტორია“, „ბრიტანული და ამერიკული კულტურა“ და ბუნებრივია, რომ ეს საგნები სტუდენტს აძლევს თეორიულ ცოდნას, რომელიც საჭიროა ამ მიზნის მიღწევისთვის და ამყარებს სტუდენტების გაგებას იმ ისტორიულ და კულტურული კონტექსტისა, რომელშიც ინგლისური ენა განვითარდა. ასევე, ენისა და კულტურის განმასხვავებელი პროცესების, ისევე როგორც ისტორიული დინამიკის გაგება კურსდამთავრებულებს უმუშავებს პრაქტიკულ უნარებს ეფექტურად ჩაერთონ ინტერკულტურულ გარემოში. ბრიტანელი ერის ენის, კულტურისა და ისტორიის ღრმა გაგების წარმოჩენით, კურსდამთავრებულები შეძლებენ ფასეული პერსპექტივების გამომუშავებასა და წვლილის შეტანას ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში. **შესაბამისად, რეკომენდაციას ვერ გავიზიარებთ.**

მიზანი 5. „მეხუთე მიზანი ასეთია: “გაანალიზოს სხვადასხვა ჟანრის ტექსტი სათანადო ლინგვისტური ტერმინოლოგიის გამოყენებით, განახორციელოს ტექსტის ინტერპრეტაცია და ადეკვატური თარგმანი შესაბამის სტილსა და რეგისტრში”. ეს შედეგი აერთიანებს ყველა იმ მიზანს, სადაც სალიტერატურო ტექსტის თემა ნახსენები, თუმცა არსად არ არის ნათქვამი, რომ პროგრამით გათვალისწინებულია მთარგმნელობითი ტექნიკის შესწავლა და რომ ის სავალდებულო კურსია“.

პასუხი: ჩვენთვის გაუგებარია, ექსპერტები ამ შემთხვევაში მიზანზე საუბრობენ თუ შედეგზე, იქნებ დააზუსტონ? რაც შეეხება სასწავლო კურსს „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო კურსი და იგი მოიცავს თარგმანის სპეციფიკას, სტრატეგიებსა და ტექნიკას (იხ. სილაბუსი).

შესაბამისად, რეკომენდაციას ვერ გავიზიარებთ.

მიზანი 6.

მიზანში წერია “გაანალიზოს და გამოიყენოს მეტყველების ნაწილები.....“ სადაც უკვე დასმულია აქცენტი პრაქტიკულ ცოდნაზე.

პასუხი: ჩვენთვის გაუგებარია რაზე აპელირებენ ექსპერტები, იქნებ დააზუსტონ?

შესაბამისად, რეკომენდაციას ვერ გავიზიარებთ.

მიზანი 7.

„იცოდეს ინგლისური ლიტერატურის მთავარი წარმომადგენლები და მხატვრული ტექსტები; ერკვეოდეს ინგლისური ლიტერატურის ტენდენციებში“.

პასუხი: სრულიად გაუგებარია რატომ ავიწროვებენ ექსპერტები ანალიზისა და ინტერპრეტაციის არეალს, რატომ აკავშირებენ მას მხოლოდ ლიტერატურულ (მხატვრულ) ტექსტთან, როდესაც აღნიშნული დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ტექსტებთან კურსში „ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია“, რომელიც ლიტერატურული ტექსტების შესწავლასაც მოიაზრებს.

ამას შეიძლება რჩევის სახე ჰქონდეს და არა რეკომენდაციის, შესაბამისად, ამას ვერ დავეთანხმებით.

მიზანი 8.

„დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი პროექტი, მოახდინოს საკვლევო თემის იდენტიფიცირება, გამოიყენოს საბაკალავრო პროექტის შესრულებისათვის საჭირო ტექნიკები“.

პასუხი: უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესი, სადაც დეტალურადაა აღწერილი, რომ სტუდენტი დამოუკიდებლად ირჩევს საბაკალავრო პროექტის თემას, საბაკალავრო პროექტის ხელმძღვანელს, თუმცა საბაკალავრო პროექტს გეგმავს და ასრულებს ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ. აქ მექანიკური შეცდომაა.

უნივერსიტეტი უპრობლემოდ გაასწორებს აღნიშნულ ტექნიკურ ხარვეზს.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას. მომავალი სტუდენტების, უსდ-ს და ბოლოს ზოგადად საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ინტერესებში შედის, რომ მხოლოდ ის პროგრამები ხორციელდებოდეს, სადაც კავშირი პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის მკაფიო და კარგად ჩამოყალიბებულია. რეკომენდებულია უსდ დეტალურად გაეცნოს ანგარიშის ტექსტურ ნაწილში მოცემულ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია #4 „რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მათი შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის ძირითად საგნებთან“.

პასუხი: როდესაც ექსპერტი საუბრობს იმ 7 საგანზე, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებისთვისაა შერჩეული და მათ ძირითად საგნებად მოიხსენიებს, არასწორია, რადგან ძირითად საგნებად ითვლება არა მხოლოდ ზემოთხსენებული საგნები, არამედ სწავლის სფეროს სხვა სავალდებულო საგნებიც, კერძოდ: თარგმანის თეორია და პრაქტიკა, ინგლისური ენის გრამატიკა, კომპოზიცია, აუდირება და

ზეპირმეტყველება, ლიტერატურის თეორია, ინგლისური ლიტერატურა და ა.შ. შესაბამისად, ეს საგნები ყველა მონაწილეობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ დაეთანხმება.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას და თვლის, რომ მხოლოდ რამდენიმე ძირითადი კურსი ფილოლოგიაში ვერ მისცემს სტუდენტებს ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფართო ცოდნას და ვერ მოამზადებს მათ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის, როგორც ეს პროგრამის მიზნებშია აღწერილი.

რეკომენდაცია #5 „რეკომენდებულია სწავლის შედეგის გადახედვა უნარების ნაწილში, რადგან პროგრამის რეალისტური შედეგი იქნება: „კურსდამთავრებული პრობლემებისა და თემების ფართო სპექტრზე კომუნიკაციას ახდენს მინიმუმ B2 დონეზე, უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული კომპეტენციების შესაბამისად: სწავლა, სწავლება, შეფასება (CEFR).“

პასუხი: CEFR-ის სკალაზე B2-ს მინიჭებული აქვს 500-600 საკონტაქტო საათი, რაც გულისხმობს საწყისი “Beginner” დონიდან B2-დონემდე საჭირო საათების რაოდენობას. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი პროგრამა იწყება B1-დან B2-მდე, სტუდენტს სჭირდება დაახლოებით 150-დან-200 საათამდე. ამასთან, B2+ CEFR სკალით არ რეგულირდება, შესაბამისად, ყოველივე, რაც B2-ზე მეტია არის B2+. ჩვენი სასწავლო გეგმა სწორედ ამის დასტურია.

შესაბამისად, უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებს.

ექსპერტთა პანელის პასუხი: ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას და აღნიშნავს, რომ სწავლის შედეგი უნარების ნაწილში უნდა შეიცვალოს როგორც პროგრამიდან გამომდინარე რეალისტური შედეგი: „კურსდამთავრებული ამყარებს კომუნიკაციას სხვადასხვა პრობლემებსა და თემებზე ენების საერთო ევროპული ჩარჩოს სულ მცირე B2 დონეზე: სწავლა, სწავლება, შეფასება (CEFR)

თავის არგუმენტირებულ პოზიციას უსდ ხაზს უსვამს, რომ სწავლება იწყება B1 საფეხურიდან და გადადის B2- მდე, რისთვისაც სტუდენტებს დაახლოებით 150- დან 200 საათამდე სჭირდებათ. თუმცა, სასწავლო პროგრამა, რომელიც ისწავლება ქართულ ენაზე ინგლისური კომპონენტით არ უზრუნველყოფს სტუდენტების ამ პროგრესს, თუ გავითვალისწინებთ ყველა იმ სავალდებულო საგანს, რომელსაც ყველა სტუდენტი გადის და არა არჩევით კურსებს, რადგან ეს კურსები არ უზრუნველყოფს ყველასთვის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

რეკომენდაცია #6 „რეკომენდირებულია, დაკორექტირდეს სასწავლო კურსებთან სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რათა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების ზუსტი ანალიზი და განისაზღვროს დარგობრივი კომპეტენციების მიღწევადობა“.

შედეგი 2.- **თან მიმართებით ექსპერტთა რეკომენდაცია მისაღებია.**

შედეგი 3. კურსები **ლიტერატურის თეორია და შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში** მიმზღვლია მე-3 შედეგთან, სადაც კვირებში ჩაშლილია ჟანრები ეპოქების მიხედვით, მათ შორის ეროვნულ ლიტერატურაშიც (იხ. სილაბუსები, სავალდებულო ლიტერატურა). მართალია, რომ ცალკეულ ერებს შეაქვთ წვლილი კონკრეტული ლიტერატურული ჟანრის განვითარებაში, მაგრამ ჟანრის შესწავლა მოიცავს უნივერსალურ პრინციპებს, რომლებიც სცდება ეროვნ

ულ საზღვრებს. ჟანრის ანალიზზე ორიენტირებული კურსები იკვლევს ფუნდამენტურ კონცეფციებს, როგორცაა გმირის განვითარება, ნარატიული ტექნიკები და თემატური ელემენტები. ეს პრინციპები უნივერსალურად ვრცელდება სხვადასხვა კულტურის და დროის ხელოვნების ნიმუშებზე. ამდენად, ჟანრის ძირითადი პრინციპების გაგება არ ეყრდნობა მხოლოდ ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების შესწავლას, არამედ გულისხმობს ლიტერატურული ტექნიკებისა და კონვენციების უფრო ფართო ანალიზს. **შესაბამისად, რეკომენდაციას ვერ გავიზიარებთ.**

შედეგი 4. მიუხედავად იმისა, რომ აღიარებულია, რომ კომუნიკაცია მოიცავს როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმებს, შედეგი 4-ში, რომელიც მიმართულია კომუნიკაციის სხვადასხვა თემებზე B2+ დონეზე, უკვე გულისხმობს ორივე მოდალობის ჩართულობას. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის ხსენება შედეგის ზედმეტი გადატვირთვაა, რადგან ცხადია, რომ შედეგი ორიენტირებულია ვერბალურ კომუნიკაციაზე. დამატებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შედეგში ყველა თემის მითითება, არაა აუცილებელი, რადგან ეს ინფორმაცია, როგორც წესი, დეტალურადაა გაშლილი სასწავლო კურსების აღწერილობაში. „ფართო სპექტრი“ სავსებით მისაღები სიტყვით შეთანხმებაა, მისი დაკონკრეტება აზრს მოკლებულია, რადგან იმ სავალდებულო საგნების გარდა, სადაც ფართო სპექტრი იკვეთება, სტუდენტები სწავლობენ ასევე სპეციალობის არჩევით საგნებს, მრავლის მომცველი თემატიკით, ხოლო კონკრეტულად რომელ თემატიკას აირჩევს სტუდენტი, მხოლოდ სტუდენტზეა დამოკიდებული. **შესაბამისად, რეკომენდაციას ვერ გავიზიარებთ.**

შედეგი 5. ტექსტის ჟანრი მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას მის ამავე ტექსტის ლინგვისტურ მახასიათებლებზე, სტრუქტურასა და კომუნიკაციურ მიზნებზე. ამიტომ, ლინგვისტური ანალიზის შემოფარგვლამ მხოლოდ ტექსტის ტიპით, შესაძლოა მოახდინოს მნიშვნელოვანი ნაწილის უგულვებელყოფა, რომელსაც შეგვიძლია მივაღწიოთ ჟანრის ანალიზით. ჟანრები ხშირად აყალიბებენ ენის გამოყენებას მნიშვნელოვანი გზით, რაც გავლენას ახდენს ლექსიკის არჩევაზე, წინადადების სტრუქტურაზე, რიტორიკულ საშუალებებსა და დისკურსის

მოდელზე. ჟანრის ანალიზის გათვალისწინებით ტექსტის ტიპთან ერთად, ლინგვისტიკი შეძლებენ ენის გამოყენებისა და კომუნიკაციური პრაქტიკების უფრო სრულ გაგებას სხვადასხვა ტექსტურ კონტექსტებში. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ განსხვავება ტექსტის ტიპსა და ჟანრს შორის, რადგან ჟანრის ანალიზის ჩართვა ლინგვისტურ კვლევაში ამდიდრებს ჩვენს გაგებას ენის გამოყენებისა და კომუნიკაციური პრაქტიკების სხვადასხვა კონტექსტებში. ლინგვისტურ ანალიზში, "ჟანრი" გულისხმობს ტექსტების კატეგორიას ან კლასიფიკაციას, რომლებსაც აქვთ საერთო მახასიათებლები, როგორცაა ფორმა, შინაარსი, სტილი და მიზანი. ჟანრის ფართო კონცეფციის ფარგლებში არსებობს სხვადასხვა ტიპის ან ქვეკატეგორიის ტექსტები, რომლებსაც ახასიათებთ სპეციფიკური მახასიათებლები. მაგალითად, ლიტერატურულ კვლევებში, ჟანრები, როგორცაა პოეზია, დრამა, ფიქცია და არაფიქცია მოიცავენ სხვადასხვა ტიპის ტექსტებს. ამ ჟანრებში შედის სხვადასხვა ტიპის ტექსტები, როგორცაა სონეტები, პიესები, რომანები, ესეები, ბიოგრაფიები და ა.შ. იგივე გზით, ლინგვისტურ ანალიზში, ისეთი ჟანრები, როგორცაა ნარატივი, არგუმენტატული, აღწერილობითი და გამომხატველობითი ტექსტები წარმოადგენენ სხვადასხვა ტიპის დისკურსებს. ყველა ჟანრი მოიცავს სპეციფიკური ტიპის ტექსტებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი ლინგვისტური მახასიათებლები, კომუნიკაციური ფუნქციები და რიტორიკული სტრატეგიები. ამრიგად, მაშინ როცა ტერმინი "ტექსტის ტიპი" მიუთითებს გარკვეულ კატეგორიზაციას ფორმალური მახასიათებლების საფუძველზე (მაგ., ნარატიული, გამომხატველობითი და ა.შ.), ტერმინი "ტექსტის ჟანრი" მოიცავს უფრო ფართო დიაპაზონის კატეგორიზაციას, რომელშიც შედის ეს ტიპებიც, აგრეთვე დამატებითი მახასიათებლები, რომლებიც უკავშირდება შინაარსს, მიზანსა და სტილს. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ექსპერტები არ ახსენებენ ამ შედეგთან დაკავშირებულ ორ უმნიშვნელოვანეს კურსს „ინგლისური ენის სტილისტიკა“ და „ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია“, რომლებიც პროგრამის სავალდებულო საგნებია. ამასთან, არსად გვაქვს ჩვენს პროგრამაში მოხსენიებული კურსი „ტექსტის ლინგვისტიკა“, რაც კიდევ მეტად უსაფუძვლოს ხდის ექსპერტების მსჯელობას. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციას ვერ გავიზიარებთ.

შედეგი 6-ის რეკომენდაციას ვეთანხმებით.

შედეგი 7.

რაც შეეხება გაცნობით, გაღრმავებისა და განმტკიცების საგნებს სრულიად ლოგიკურად არის დახარისხებული ინგლისური ლიტერატურის კურსები. ინგლისური ლიტერატურა 1660 წლამდე გაცნობითი ხასიათის კურსია. სტუდენტები ეცნობიან ინგლისური ლიტერატურის ძირეულ ტექსტებსა და თემებს XVII საუკუნემდე. ყურადღება გამახვილებულია ლიტერატურული მიმდინარეობების, ავტორთა ბიოგრაფიებისა და თემების გაგებაზე მათი შესაბამისი ეპოქის კონტექსტში. შესავალი კურსია, რომელიც ქმნის საფუძველს შემდგომი კურსების უფრო ღრმა შესწავლისთვის. კურსი ინგლისური ლიტერატურა 1660-1900 აგრძელებს საფუძვლიანი ცოდნის მიცემას. იგი მოიცავს უფრო ვიწრო პერიოდს, რაც

საშუალებას იძლევა უფრო ღრმად გავანალიზოთ ლიტერატურული ნაწარმოებები რესტავრაციის პერიოდიდან ვიქტორიანულ ხანამდე. სტუდენტები უფრო ღრმად შეისწავლიან კონკრეტულ ლიტერატურულ მიმდინარეობებს, როგორცაა განმანათლებლობა, რომანტიზმი და რეალიზმი. ეს კურსი ამზადებს მათ ლიტერატურის კიდევ უფრო ღრმა შესწავლისთვის. ინგლისური ლიტერატურა 1901- დღემდე ეს კურსი წარმოადგენს ინგლისური ლიტერატურის კურსის კულმინაციას და ფოკუსირებულია მე-20 და 21-ე საუკუნეებზე. იგი მოიცავს მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ლიტერატურას, რომლებიც ხშირად ხასიათდებიან რთული ნარატიული სტრუქტურებით, ექსპერიმენტული ფორმებითა და ფილოსოფიური თემებით. სტუდენტები ეცნობიან რთულ ტექსტებს, რომლებიც ასახავენ თანამედროვე ეპოქის კულტურულ, სოციალურ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს. აქცენტი კეთდება რთული ანალიტიკური და კრიტიკული უნარების განვითარებაზე, მათ შორის ბუნდოვანი ტექსტების ინტერპრეტაციის, ინტერტექსტუალური ტექსტების გააზრებაზე. თითოეული კურსი შემუშავებულია იმგვარად, რომ თანდათანობით გააღრმავოს სტუდენტთა ცოდნა და ანალიტიკური უნარები, რასაც განაპირობებს ლიტერატურული მასალის მზარდი სირთულე.

ავტორების მიერ პერსონაჟებისა და გარემოს განვითარების ანალიზი მოკლე ნარატიული ფორმის ფარგლებში ამდიდრებს სტუდენტების შეფასების უნარს ლიტერატურაში ენის სიზუსტისა და ეკონომიურობისადმი. მოკლე მოთხრობები ხშირად მოულოდნელი დასასრულით გამოირჩევა, მოულოდნელი დასასრული ან სიმბოლიზმი მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ეს ფოკუსირებული მიდგომა, რომელიც მიმართულია ანალიტიკური უნარების განვითარებაზე ენის კონკრეტული კომპეტენციის პირობასთან ერთად, ამართლებს კლასიფიკაციას - „გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცება“ ინგლისური ლიტერატურის შესწავლის ფართო კონტექსტში.

რაც შეეხება „ინგლისური ენის გრამატიკის თეორიისა“ და „ლექსიკოლოგიის“ შეფასებების ინდიკატორში ხსენებას, „ინგლისური ენის გრამატიკის თეორია“ „ინგლისური ენის ფუნქციური გრამატიკის“ წინაპირობაა. რაც შეეხება „ინგლისური ენის სტილისტიკას“, აქაც გათვალისწინებულია შემდეგი: ეს ორი დისციპლინა „ლექსიკოლოგია“ და „სტილისტიკა“ ერთმანეთს კვეთს, კერძოდ: ლექსიკოლოგიის გააზრება და გაგება, გვიადვილებს ადეკვატურად შეაფასო სტილისტიკის მოცემულობა (ენა, ფორმა), ხოლო სტილიტიკის ანალიზის ცოდნა მოიცავს კონკრეტულ ლექსიკურ ვარიანტებს და მათ შედეგებს. თუმცა, ეს ყოველივე შედეგებს მოგვცემს 4 წლის შემდეგ და ამის მიხედვით მოვახდენთ რეაგირებას.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: ექსპერტთა ჯგუფი ინარჩუნებს რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ აუცილებელია სასწავლო კურსებთან სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის კორექტირება, რის შედეგადაც ზუსტად მოხდება პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და განისაზღვრება დარგობრივი კომპეტენციების მიღწევადობა. უსდ- მ განაცხადა, რომ

ეთანხმება მე-2 და მე-6 შედეგებს, მაგრამ უფრო ღრმა ანალიზი აჩვენებს, რომ აუცილებელია მთლიანი რუკის კორექტირება.

რეკომენდაცია #7 „რეკომენდებულია პროგრამის გადახედვა (სასწავლო კურსების სირთულისა და წინაპირობების გათვალისწინებით) და საგნების სემესტრული განაწილების შეცვლა“.

პასუხი: გაუგებარია თუ რას გულისხმობენ ექსპერტები რეკომენდაციაში. ინგლისური ენის ინტეგრირებული უნარები II (B1+) სწორად არის დასმული ინგლისური ენის ისტორიის წინაპირობად. დონე B1+ მოიაზრებას დონეებს B1-სა და B2-ს შორის, რაც სრულიად საკმარისია აღნიშნული სასწავლო კურსით გათვალისწინებული მასალის დაძლევისთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კურსი ქართულენოვანია.

შესაბამისად, უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ დაეთანხმება.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

არის შემთხვევები, როდესაც საგნების ლოგიკური თანმიმდევრობა სემესტრების მიხედვით დარღვეულია, რაც გარკვეულ სირთულეებს იწვევს როგორც ცალკეული საგნებისთვის საჭირო წინაპირობების, ისე შესაბამისი კომპეტენციების დაუფლების საკითხში. მაგალითად, სასწავლო კურსი - ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები II (B1+) არის კურსის - "ინგლისური ენის ისტორია" წინაპირობა, ხოლო სახელმძღვანელოების უმეტესობა ინგლისურ ენაზეა.

ექსპერტთა ჯგუფმა ეს რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში.

რეკომენდაცია #8 „რეკომენდებულია ინგლისური ენის ტესტის ჩატარება და სტუდენტების ჯგუფებში ინგლისური ენის ფლობის დონის შესაბამისად გადანაწილება“.

პასუხი: გამოცდების ეროვნულ ცენტრთან გავლილი კონსულტაციების შედეგად დადგინდა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის ტესტის სირთულე წარმოადგენს B1 დონეს, რომელსაც გრადაციები არ გააჩნია. შესაბამისად, ეს გამორიცხავს ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რადგან გამორიცხულია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული პირი ვერ ფლობდეს B1-ის გარკვეულ დონეს. სავსებით ლოგიკურია, რომ სწავლა „ინგლისური ენისა და ლიტერატურის“ პროგრამაზე იწყებოდეს B1-ი დონით, სადაც ალბათობა იმისა, რომ სტუდენტს კომპეტენცია არ ეყოს, 0-ის ტოლია. უნდა ითქვას, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის არსებობს, უცხოური ენების ცენტრში, დამატებით ინგლისური ენის შესწავლის პრაქტიკა, რომელიც სრულიად უფასოა სტუდენტებისთვის და მოიცავს წრეებს A1-დან- C1- ის ჩათვლით.

გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამა ახალია, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში სწორედ რომ ვაპირებთ სტუდენტთა დაყოფას და ჯგუფებში გადანაწილებას იმის მიხედვით, თუ ვინ როგორი შეფასება მიიღო B1 დონის ფარგლებში. ისე, რომ ეს რეკომენდაცია ვერაფრით ვერ იქნება რელევანტური, ვიდრე სტუდენტები არ გვყავს.

ვფიქრობთ, ეს რჩევა შეიძლება იყოს და არა რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

სასწავლო გეგმის მიხედვით, სტუდენტები ინგლისური ენის სწავლას იწყებენ B1 დონეზე (ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები I (B1)). უნივერსიტეტმა დააწესა ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარი, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტმა ეროვნულ გამოცდაზე უნდა მიიღოს 25 ან მეტი ქულა. ამ მოცემულობის ფარგლებში დასაშვებია, რომ ზოგიერთ სტუდენტს შეიძლება არ ჰქონდეს აღნიშნულ დონეზე სწავლისთვის აუცილებელი ენის სათანადო ცოდნა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიმდინარე პროგრამაში არ შედის ინგლისური ენის ცოდნის ტესტები, რომელიც დაადგენს სტუდენტების ენობრივ დონეს და შემდეგ გადანაწილებს მათ ენის ცოდნის შესაბამის ჯგუფებში. ასეთი მიდგომის გამოყენებით, პროგრამა უფრო მოქნილი გახდება და მოემსახურება სტუდენტების საუკეთესო ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს ენის ცოდნის შეფასების განხორციელებას უნივერსიტეტის დონეზე, რათა ზუსტად დადგინდეს სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონე, რომელიც შეესაბამება მათ ცოდნასა და უნარებს.

რეკომენდაცია #9 „რეკომენდებულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების სეგმენტის სხვა ევროპული ენებით გამდიდრება“.

პასუხი: კურიკულუმი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსად ითვალისწინებს გერმანული ენის სწავლებას, 3 სემესტრად. რაც შეეხება ესპანურ და პოლონურ ენებს, მათ უნივერსიტეტი საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების სახით, ორ სემესტრად ყველა საბაკალავრო და ერთსაფხურიანი პროგრამების სტუდენტებს სთავაზობს.

გარდა ამისა, თუ სტუდენტი ფრანგული ენის შესწავლას გადაწყვეტს, ესეც შეუძლია თავისუფალი კრედიტების (15 კრედიტი) ფარგლებში აიღოს ტურიზმის ან საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამებიდან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ეს შეიძლება იყოს რჩევა და არა რეკომენდაცია.

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების სეგმენტში უნივერსიტეტში ამჟამად მხოლოდ ერთი ევროპული ენა არის წარმოდგენილი - გერმანული. ეს შეთავაზება „ზღუდავს“ სტუდენტების არჩევანს, რომლებსაც სურთ ისწავლონ მეორე უცხო ენა არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში. უნივერსიტეტს აქვს ენის ცენტრი, სადაც ისწავლება ფრანგული და სხვა ენები; შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის პრობლემას არ წარმოადგენს პროგრამაში გერმანულთან ერთად სხვა ენების ჩართვა, სტუდენტების საუკეთესო ინტერესების

გათვალისწინებით. შესაბამისად, ექსპერტთა პანელი ფიქრობს, რომ სასურველია გადაიხედოს არჩევითი სასწავლო კურსების სეგმენტი და გამდიდრდეს სხვა ენებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ეს რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში.

რეკომენდაცია #10 „რეკომენდებულია, სახელწოდება შეეცვალოს კურსებს FCE და Teaching Methods (TKT)“.

პასუხი: რეკომენდაცია უნივერსიტეტისთვის მისაღებია.

პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ურთიერთშეთანხმებით, Teaching Methods (TKT)“-ს დავარქმევთ „სწავლების მეთოდებს“ ხოლო FCE -ს, “საგამოცდო კურსს- B2”.

რეკომენდაცია #11 „რეკომენდებულია, სახელი გადაერქვას კურსებს „ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები I, „ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები“ II, „ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები“ III.”

პასუხი: ჩვენთვის გაუგებარია რაზე დაყრდნობით გვთხოვენ ექსპერტები „ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები“ სასწავლო კურსებისთვის სახელწოდების შეცვლას. “ინტეგრირებული უნარები” საერთაშორისო ტერმინია და მოიაზრებს 4 უნარს (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი).

შესაბამისად, უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაითვალისწინებს.

ექსპერტთა ჯგუფმა გააუქმა რეკომენდაცია 11.

რეკომენდაცია #12 „რეკომენდებულია, კურსების „ინგლისის ისტორია“ და „ბრიტანული და ამერიკული კულტურა“ სტატუსის შეცვლა და მათ არჩევით კურსებად გადაკვალიფიცირება“.

პასუხი: ჩვენ ვფიქრობთ, აუცილებელია იმ ერის ენის ისტორიის ცოდნა, რომლის ენასა და ლიტერატურას ეუფლები, რადგან სულ მცირე წარმოდგენა უნდა გქონდეს იმ ქვეყნის სოციო-პოლიტიკურ დინამიკაზე, კერძოდ: ისტორიული მოვლენები, პოლიტიკური მოძრაობები და სოციალური მოვლენები ქვეყნის იდენტობასა და განვითარების ტრაექტორიას აყალიბებს. ინგლისური ენის ფილოლოგმა უნდა იცოდეს ბრიტანეთის როლი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების საკითხში, ბრიტანული ცივილიზაციის განვითარების ეტაპები, ხოლო კურსი „ბრიტანული და ამერიკული კულტურა“ ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ორი თვალსაჩინო ერის კულტურას სწავლობს და ცხადყოფს თუ რა გავლენები მოახდინეს მათ ერთმანეთზე, უფრო კონკრეტულად კი, ამერიკული კულტურის გავლენები ბრიტანულ კულტურაზე. აღნიშნული საგნები წამყვანია და მათი სტატუსის შეცვლა უარყოფითად იმოქმედებს ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტად ჩამოყალიბების პროცესზე.

შესაბამისად, უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ დაეთანხმება.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: ექსპერტების აზრით, უფრო მეტი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ფილოლოგიურ საგნებს ვიდრე ზოგად არჩევით კურსებს, როგორცაა, მაგალითად, ინგლისის ისტორია ან ბრიტანული და ამერიკული კულტურა. ჩვენი აზრით, თუ მეტი აქცენტი გაკეთდება ფილოლოგიურ კვლევებზე, რომელიც შეისწავლის ენების სტრუქტურას, ისტორიას და განვითარებას, ეს უფრო მყარ საფუძველს შექმნის სტუდენტთა აკადემიური და პროფესიული განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ისეთი კურსები, როგორცაა ინგლისის ისტორია და ბრიტანული და ამერიკული კულტურა, გვთავაზობენ კულტურულ და ისტორიულ კონტექსტებს, ექსპერტები თვლიან, რომ ენობრივი პრინციპებისა და ენის მექანიზმების უფრო ღრმა გაგება აუცილებელია სტუდენტების ინტელექტუალური ზრდისა და მრავალფეროვნებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ეს რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში.

რეკომენდაცია #13 „რეკომენდებულია კურსების დახარისხება დარგების მიხედვით“.

პასუხი: გაუგებარია რას გულისხმობენ ექსპერტები და რა „დარგების“ დახარისხებაზეა საუბარი, ან სულაც რას ეფუძნება აღნიშნული განაცხადი, მსჯელობა არ ახლავს.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

სასწავლო პროგრამა შედგება სხვადასხვა სფეროს საგნებისგან, მაგალითად: ენათმეცნიერება, ლიტერატურა, ლექსიკოგრაფია და ა.შ. ექსპერტთა პანელი თვლის, რომ ეს კურსები დარგების მიხედვით უნდა დალაგდეს, საკონტაქტო საათების რაოდენობის, კრედიტების და მათი სტატუსის გათვალისწინებით (არჩევითი თუ სავალდებულო).

რეკომენდაცია #14 „რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა და რიგ სილაბუსებში პროგრამის შინაარსისა და მოსალოდნელი შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა“.

პასუხი: ვფიქრობთ, 3 სილაბუსზე დაყრდნობით ამ რეკომენდაციის გაცემა არასწორია. რაც შეეხება თავად ამ სამ სილაბუსს, აღწერილი სწავლის შედეგები, რელევანტური სწავლის მეთოდები და აქტივობები ემყარება თეორიული და პრაქტიკული მუშაობის ნაზავს და კორელაციაშია პროგრამის შინაარსთან და მოსალოდნელ შედეგებთან.

„შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში“ - სასწავლო დისციპლინა თეორიული სასწავლო კურსია წინაპირობის გარეშე, რომელიც განკუთვნილია ფილოლოგიით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის მიზანია დამწყებ ფილოლოგებს მისცეს ცოდნა და გაულრმავოს კომპეტენციები ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხების თავისებურებების, ლიტერატურის თეორიის, ისტორიისა და კრიტიკის ზოგადი კონცეპტების, თეორიული პოეტიკის ზოგადი კანონზომიერების, მხატვრული ნაწარმოების გვარსახეობრივი

თავისებურებების თუ ჟანრული სპეციფიკის შესახებ. კურსის შინაარსში გათვალისწინებულია ის კონცეპტუალური საკითხები, რაც მნიშვნელოვანია დამწყები ფილოლოგისთვის ლიტერატურათმცოდნეობითი სპეციფიკის გასააზრებლად. თეორიული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, შერჩეულია რელევანტური სწავლის მეთოდები: ახსნა-განმარტების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის მეთოდი და სხვა, რომლებიც ორიენტირებულია რთული ტერმინოლოგიით დატვირთული მასალის მარტივად აღქმასა და გაანალიზებაზე. სასწავლო კურსის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, თეორიული მასალის დაუფლება და გააზრება, ხოლო, მეორე მხრივ, შესწავლილი მასალის გათვალისწინებით დისკუსიების წარმართვა კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას მოგვცემს სტუდენტმა უკეთესად გაიაზროს თეორიული მასალა და საკუთარი ხედვა ჩამოუყალიბდეს ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დარგის შესახებ. სილაბუსში აღწერილი სწავლის შედეგები, ემყარება თეორიული და პრაქტიკული მუშაობის ნაზავს და კორელაციაშია პროგრამის შინაარსთან და მოსალოდნელ შედეგებთან.

„შესავალი ენათმეცნიერებაში“ - ენათმეცნიერების შესავლის სასწავლო კურსის ავტორი გამოთქვამს თავის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ მომზადებულ სილაბუსში წარმოდგენილი თემები, სწავლების მეთოდები და აქტივობები ერთმანეთთან ლოგიკურ თანხვედრაშია. აღსანიშნავია, რომ კურსში ყოველი ლექციის თემას თან ახლავს შესაბამისი ფორმულირებით წარმოდგენილი პრაქტიკული აქტივობები: „შემოწმდება სალექციო მასალის ათვისებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები. ლექტორის მიერ მითითებული სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი ლექციაზე მოსმენილი საკითხების მიხედვით. სალექციო თემიდან გამომდინარე ენათმეცნიერების საბაზისო მეცნიერულ-სტანდარტული ტერმინოლოგიის ახსნა-განმარტება“. ამ ფორმულირებაში იგულისხმება სამი ძირითადი პრაქტიკული აქტივობა: 1) სალექციო მასალის ათვისებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების შემოწმება; 2) ლექტორის მიერ მითითებული სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი ლექციაზე მოსმენილი საკითხების მიხედვით; 3) სალექციო თემიდან გამომდინარე ენათმეცნიერების საბაზისო მეცნიერულ-სტანდარტული ტერმინოლოგიის ახსნა-განმარტება.

ზემოთ მოყვანილ სამივე პუნქტში მითითებული პრაქტიკული აქტივობები მიიღწევა სილაბუსის შესავალშივე განსაზღვრული შესაბამისი მეთოდოლოგიით, როგორცაა

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, პრეზენტაცია;
- ჯგუფში დისკუსია/დებატები;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს: ქვიზების შესრულებას, ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურიდან კონსპექტების და რეფერატების მომზადებას;
- გუნდური მუშაობის მეთოდი (სილაბუსი, გვ. 2)

კერძოდ, სილაბუსში განსაზღვრულია, შესაბამისი ტიპის პრაქტიკული აქტივობები, რისი შესრულებაც მოუწევთ სტუდენტებს და აღნიშნული გაწერილია ცალკეულ კვირასთან დაკავშირებით, ყოველი კონკრეტული თემიდან გამომდინარე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება მის თეორიულ ხასიათში, ბევრი და მრავალფეროვანი პრაქტიკული აქტივობა არ არის შესაძლებელი. თუმცა კურსში შემდგომისდაგვარად გათვალისწინებულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრაქტიკული აქტივობა. კურსის სილაბუსში გაწერილია სწავლის შედეგები: ენობრივი სტრუქტურების ლინგვისტური ანალიზის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ენობრივი მონაცემების დამუშავება თანამედროვე ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენებით. აღნიშნული ასევე უდაოდ პასუხობს და შეესაბამება პროგრამის შედეგს.

„შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში“- სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული კონტენტი, აქტივობა და შედეგები რელევანტურია და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ ფართო ცოდნა, გამოიმუშავონ უნარები და მოახდინონ მათი დემონსტრირება. რაიმე არარელევანტური არ ჩანს სასწავლო კურსის სილაბუსში. ყველაფერი ნათლად არის ასახული მიზანში და შედეგებში.

სტუდენტები ეცნობიან იმ თეორიულ მაპროფილებელ საგნებს სპეციალობაში როგორცაა: თეორიული ფონეტიკა, თეორიული გრამატიკა, ლექსიკოლოგია (ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი მიმართულებები), ინგლისური ენის ისტორია, სტილისტიკა, ლექსიკოგრაფია, ინგლისური ენის ვარიანტები, ლიტერატურათმცოდნეობა, სოციოლინგვისტიკა და ა. შ.

სასწავლო კურსის „შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში“ თითოეული ლექცია ემდგვნება იმ თეორიულ ლინგვისტურ საგნებს, რომლებსაც ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტები გადიან შემდგომი სწავლის პერიოდში.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი თვლის, რომ რეკომენდაციები და მითითებები ყოველთვის სასარგებლოა, მაგრამ თვლის, რომ სწორად და გარკვეულად არის ასახული სასწავლო კურსში მიზანი, შედეგი და შეტანილია (რომელიც ეხმიანება პროგრამის მიზნებს და შედეგებს) ის თეორიული ლინგვისტური კომპონენტები, რომელსაც სტუდენტები შემდეგ წლებში დეტალურად სწავლობენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნივერსიტეტი რეკომენდაციას ვერ დაეთანხმება.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

არის გარკვეული სასწავლო კურსები, სადაც ლოგიკური კავშირი არ არის დაცული და მკაფიოდ გამოკვეთილი; კერძოდ, ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგ.: შესავალი ენათმეცნიერებაში, შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში; შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში“ და ა.შ.) შინაარსი, სწავლების მეთოდები და აქტივობები არ არის სათანადოდ შერჩეული, განსაზღვრული და დალაგებული. სასწავლო კურსში „შესავალი ენათმეცნიერებაში“ სტუდენტები უნდა ასრულებდნენ პრაქტიკულ აქტივობებს; თუმცა,

მოწოდებული სილაბუსი ბუნდოვანია და არ გვაწვდის ინფორმაციას, თუ რა სახის პრაქტიკულ საქმიანობას უნდა ასრულებდნენ სტუდენტები. რომ დავაზუსტოთ, თითოეული კვირის აქტივობების აღწერა ერთნაირია და არ არის მორგებული კვირით გათვალისწინებულ თემაზე. ამ ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად ექსპერტთა პანელი შეხვდა საგნის წამყვანს, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია. ამდენად, რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა და ზემოაღნიშნულ სილაბუსებში შინაარსისა და პროგრამის მოსალოდნელი შედეგების შესაბამისობაში მოყვანა.

რეკომენდაცია #15 „რეკომენდებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სტრუქტურის გადახედვა მათი წინაპირობების და სემესტრული განლაგების დაზუსტების მიზნით“.

პასუხი: თუ რეკომენდაციის საფუძველად ექსპერტები თვლიან „შესავალს ინგლისურ ფილოლოგიაში“, ინგლისური ენის ინტეგრირებული უნარები II (B1+) სწორად არის დასმული ამ საგნის წინაპირობად. დონე B1+ მოიაზრებას დონეებს B1-სა და B2-ს შორის, რაც სრულიად საკმარისია მოცემული მასალის დამლევითვის. ასევე, არასწორია განაცხადი, რომ ამ სასწავლო კურსში „სახელმძღვანელოების უმეტესობა ინგლისურ ენაზეა“.

სავალდებულო ლიტერატურა:

- ნ. სტამბოლიშვილი, შესავალი გერმანიკულ ფილოლოგიაში. ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., ბათუმი, 2015 - ქართული
- მათეშვილი ო. ინგლისური ენის ისტორია (რიდერი), 2020 - ქართული
- თევდორაძე ნ. ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი 2016 - ქართული
- შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში, ლექციების კურსი პირველკურსელთათვის, რიდერი და ანთოლოგია, თსუ, 2017 - ქართული (ინგლისური ჩანართებით)
- Rusieshvili M., Dolidze R. Readings in English Philology. Materials for seminars. University publishing - house, 2015- ინგლისური
- INTRODUCTION TO LANGUAGE | TOPIC ONE | A -LEVEL ENGLISH LANGUAGE I, 2019- სტატია (ინგლისური)

სავალდებულო სახელმძღვანელოების უმეტესობა ინგლისურ ენაზე არაა, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კურსი ქართულენოვანია და კურსის ხელმძღვანელს შეუძლია ქართულ ენაზე განუმარტოს სტუდენტებს გაუგებარი.

ამასთან, ქვესტანდარტში 1.4 ექსპერტები ამბობენ, რომ „პროგრამა ასახავს ბალანსს სასწავლო გეგმის შინაარსსა და სირთულეს შორის“, თუკი, ბალანსი გეგმის შინაარსსა და სირთულეს შორის დაცულია, მე-15 რეკომენდაცია „პროგრამის სტრუქტურის და სასწავლო კურსების გადახედვა მათი წინაპირობებისა და სემესტრული გადანაწილების დაზუსტების მიზნით ყოველგვარ აზრს მოკლებულია“.

ამიტომ, უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებს.

ექსპერტთა პასუხია:

არის შემთხვევები, როდესაც საგნების ლოგიკური თანმიმდევრობა სემესტრების მიხედვით დარღვეულია, რაც გარკვეულ სირთულეებს იწვევს როგორც ცალკეული საგნებისთვის საჭირო წინაპირობების, ისე შესაბამისი კომპეტენციების დაუფლების საკითხში. მაგალითად, სასწავლო კურსი - ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები II (B1+) არის კურსის - "ინგლისური ენის ისტორია" წინაპირობა, ხოლო სახელმძღვანელოების უმეტესობა ინგლისურ ენაზეა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მიმდინარე სასწავლო კურსის წინაპირობების მოდიფიცირება და შესაბამისად მიმდინარე საგნისთვის განკუთვნილი სემესტრის შეცვლა.

რეკომენდაცია #16 „რეკომენდებულია კომპეტენციის მაფორმირებელი საგნების გადახედვა და კრედიტების რაოდენობის გაზრდა“.

პასუხი: გათვალისწინებულია მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკები (რომელსაც წამყვანი ადგილი უჭირავს ინტერნაციონალიზაციის საკითხებში), სადაც, მაგალითად, ისეთ საგნებს როგორც „ინგლისური ენის ლექსიკოლოგია“ და „ლიტერატურის თეორია“, ენიჭება 3 და 4 კრედიტი (შესაბამისად) ხოლო „შესავალს ენათმეცნიერებაში“ - 5 კრედიტი. აღნიშნულ კურსებში თემების კვირეული დაყოფა მიუთითებს მასალის დაფარვის სტრუქტურირებულ მიდგომაზე განკუთვნილ საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებში. გასათვალისწინებელია, რომ „ლიტერატურის თეორიის“ წინაპირობას წარმოადგენს „შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში“ და „ანტიკური ლიტერატურისა და მითოლოგიის მხატვრული სახეები“, რაც უფრო მეტად ცხადყოფს საგნისადმი მინიჭებული კრედიტის სისწორეს. ასევე, კრედიტების გადანაწილება „ინგლისური ენის სტილისტიკაზე“ და „შესავალზე ინგლისურ ფილოლოგიაში“ სრულიად საკმარისია, განსაკუთრებული აქცენტით უკანასკნელზე, რომელიც მოიცავს შესავალს, რომლის ფარგლებში შეძენილი მთავარი კონცეპტები გავრცობილია სხვა სასწავლო კურსებში. კურსში „ინგლისური ენის სტილისტიკა“, სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის მასალის ათვისება, მოცემული აქტივობების შესრულება ტრანსფერული უნარების განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის სრულად შესაძლებელია საგნისათვის მინიჭებული კრედიტის ფარგლებში. ამას ამყარებს შემდეგი არგუმენტები:

სასწავლო კურსის „ინგლისური ენის სტილისტიკა“ მთავარი მიზანია სტუდენტს მიაწოდოს სტილისტიკის საბაზისო თეორიული ცოდნა. სწავლების შემდეგ საფეხურებზე (მაგისტრატურა, დოქტორანტურა). კურიკულუმის მიხედვით საგანი „ინგლისური ენის სტილისტიკა“ გაწერილია მე-6 სემესტრში, რაც გულისხმობს სტუდენტის მზაობას მეტი დრო დაუთმოს დამოუკიდებელ მუშაობას (სილაბუსის მიხედვით სტუდენტი დამოუკიდებელ მუშაობას 75 საათიდან 40 საათს უთმობს). სტუდენტს უკვე ნასწავლი აქვს სხვადასხვა თეორიული თუ პრაქტიკული კურსი (რასაც მოწმობს აღნიშნულ სასწავლო კურსზე დაშვების

წინაპირობები), ის მზად არის გაეცნოს სტილისტიკას როგორც ლინგვისტიკის ზოგად დარგს. საგნის სპეციფიკა - აღნიშნული სასწავლო კურსი თეორიულ და პრაქტიკულ ხასიათს ატარებს. ლექციისთვის დათმობილი დრო საკმარისია ახალი მასალის ასახსნელად და მითითებების მისაცემად თუ როგორ მოიძიოს სტუდენტმა დამატებითი ინფორმაცია უკვე ახსნილი მასალის შესახებ და მოამზადოს ჯგუფური თუ დამოუკიდებელი სამუშაო/აქტივობა. გვინდა აღვნიშნოთ, რომ თქვენ მიერ მოწოდებული რჩევა კრედიტის გაზრდის შესახებ საინტერესოა და მეტი კრედიტი/მეტი საათი მეტი ინფორმაციის მიწოდების წინაპირობაა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე, ბაკალავრიატის საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული კრედიტები სხვადასხვა საგანზე სწორად არის გადანაწილებული. ასევე, გასათვალისწინებელია, ამ კურსისთვის განკუთვნილია სახელმძღვანელო, სადაც თითოეული თემა მოკლედ და ლაკონურად არის ჩაშლილი.

შესაბამისად, უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებს.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხია:

წარდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზზე დაფუძნებული კრიტიკული დაკვირვებიდან გამომდინარე აუცილებელია სასწავლო პროგრამაში ასახული კომპეტენციის საგნებისთვის გამოყოფილი კრედიტების, ასევე საგნების საერთო რაოდენობის გადაფასება, რადგან ისინი აფერხებენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, ლიტერატურული და ენობრივი კომპეტენციის განმავითარებელი საგნებისთვის - შესავალი ენათმეცნიერებაში (5 ECTS), შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში (4 ECTS), ლიტერატურის თეორია (4 ECTS), ინგლისური ენის სტილისტიკა (3 ECTS) და ა.შ. არ არის გამოყოფილი კრედიტების ის შესაბამისი რაოდენობა, რომელიც საკმარისი შეიძლება იყოს მასალის ასათვისებლად, გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად, ტრანსფერული უნარების გამომუშავებისა და დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია კომპეტენციის განმავითარებელი საგნებისთვის კრედიტების რაოდენობის გაზრდა.

რეკომენდაცია #17 „რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსი - „კვლევის მეთოდები და პროექტის არქიტექტურა“, შეიცვალოს მისი მიზანი და მასში შეიტანოს ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც უშუალოდ ეხება ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდებს“.

პასუხი: რეკომენდაცია უნივერსიტეტისთვის მისაღებია.

რეკომენდაცია #18 „რეკომენდებულია, კურსებისთვის სათანადო სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმების განსაზღვრა, ამ კურსების სპეციფიკის, სირთულისა და ტრანსფერულობის შესაბამისად“.

პასუხი: პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსისთვის გამოყენებული სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის და თავისებურებების გათვალისწინებითაა შერჩეული. უფრო მეტიც, თითოეულ სილაბუსში დეტალურადაა ჩაშლილი როგორც ამ კურსისთვის რელევანტური სწავლების მეთოდები, ასევე შუალედური და დასკვნითი შეფასებების მისაღებად საჭირო აქტივობები და მათი შეფასების კრიტერიუმები.

ექსპერტები არ უთითებენ თუ რომელი სასწავლო კურსების რომელი სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები არ არის რელევანტური მათი სპეციფიკის, სირთულის და ტრანსფერისა. **შესაბამისად, რეკომენდაციას ვერ გავიზიარებთ.**

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

რიგ სასწავლო კურსებში არ შეინიშნება კავშირი სწავლის მეთოდებს, სწავლის შედეგების მიღწევასა და შეფასების ფორმებს შორის. უმეტეს შემთხვევაში, შეფასების ფორმები შაბლონური ხასიათისაა და მოიცავს პრეზენტაციებს, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს (წერილობითი ფორმა - მაგ. შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში, ინგლისური პრესა, კვლევის მეთოდები და პროექტების არქიტექტურა, ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, ბრიტანული და ამერიკული კულტურა და სხვა.).

მოწოდებულ მაგალითებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს პროგრამის კურსებში მითითებული შედეგების ზუსტად გაზომვის მნიშვნელობას. ეს სიზუსტე არსებითია იმისთვის, რომ შეფასების მეთოდები შეესაბამებოდეს კურსების მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. შეფასების კრიტერიუმების მეტი სიზუსტე და გამჭვირვალობა პროგრამის შედეგების უფრო ეფექტურად და მეტი სიცხადით შეფასების საშუალებას მოგვცემს. გარდა ამისა, სილაბუსებში შედეგთან დაკავშირებული, უფრო მკაფიო და დეტალური თემების ჩამონათვალის ინტეგრირება, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების წარმოდგენა კურსებში ყოველკვირეული თემების ფარგლებში ხელს შეუწყობს დასახული შედეგების წარმატებით მიღწევას.

რეკომენდაცია #19 „რეკომენდებულია, ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარის გაზრდა და ენის ცოდნის შეფასების საუნივერსიტეტო დონეზე განხორციელება, რათა სტუდენტები თავიანთი ცოდნისა და უნარების მიხედვით განთავსდნენ ინგლისური ენის ცოდნის შესაბამის დონეებზე“.

პასუხი: ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარი პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ადმინისტრაციასთან ერთობლივი შეთანხმებით დადგინდა. პროგრამა ახალია და მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ცხადია დადგენილი ნორმის ფარგლებში შევძლებთ ყველაფრის მოდიფიცირებას, რაც სასურველ შედეგამდე არ მიგვიყვანს. ისე, რომ ვნახავთ, როგორ გაამართლებს ჩვენი გადაწყვეტილება მინიმალურ ზღვართან დაკავშირებით.

რაც შეეხება ამ რეკომენდაციის მეორე ნაწილს, იმეორებს VIII რეკომენდაციას, რასაც უკვე ვუპასუხეთ.

ვფიქრობთ, აღნიშნული რეკომენდაცია კი არა, რჩევა შეიძლება იყოს.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტმა დააწესა ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარი, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტმა ეროვნულ გამოცდაზე უნდა მიიღოს 25 ან მეტი ქულა. ამ მოცემულობის ფარგლებში დასაშვებია, რომ ზოგიერთ სტუდენტს შეიძლება არ ჰქონდეს აღნიშნულ დონეზე სწავლისთვის აუცილებელი ენის სათანადო ცოდნა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიმდინარე პროგრამაში არ შედის ინგლისური ენის ცოდნის ტესტები, რომელიც დაადგენს სტუდენტების ენობრივ დონეს და შემდეგ გადაანაწილებს მათ ენის ცოდნის შესაბამის ჯგუფებში. ასეთი მიდგომის გამოყენებით, პროგრამა უფრო მოქნილი გახდება და მოემსახურება სტუდენტების საუკეთესო ინტერესებს.

აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს ეროვნულ გამოცდაზე ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ბარიერის გაზრდას და ენის ცოდნის შეფასების განხორციელებას უნივერსიტეტის დონეზე, რათა ზუსტად დადგინდეს სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონე, რომელიც შეესაბამება მათ ცოდნასა და უნარებს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა ამ რეკომენდაციის ფორმულირება შემდეგნაირად: „რეკომენდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდაზე უსდ-ს მიერ დაწესებული ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარის გაზრდა“.

რეკომენდაცია #20 „რეკომენდებულია, რომ სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში სწავლების გარდა, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკის გავლის სხვა შესაძლებლობებიც“.

პასუხი: ამ რეკომენდაციას ვერ დავეთანხმებით, რადგან უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული როგორც სკოლებთან და როგორც ექსპერტები წერენ, „სხვა დაწესებულებებთან“. იქნებ მიგვითითოთ, რას გულისხმობთ „სხვა პრაქტიკის შესაძლებლობის გათვალისწინებაში“, მაშინ, როცა თავად ექსპერტები მიუთითებენ, რომ „მემორანდუმები ასახავს პრაქტიკის შესაძლებლობებს, რომლებიც მოიცავს სკოლამდელ დაწესებულებებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ტურისტულ სააგენტოებს და სხვა“. თავად ექსპერტები ახსენებენ პრაქტიკის „სხვა“ შესაძლებლობებსაც. ხსენებულის გარდა, სტუდენტები პრაქტიკას გაივილიან შეერთებული შტატებისა და კანადის შესწავლის ინსტიტუტში, ბიბლიოთეკაში, საჯარო სამსახურის ბიუროში. მაშინ, ისევ გაუგებარი ხდება, რატომ არ არის საკმარისი პროგრამის ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმები, მით უფრო, რომ ყველაზე უკეთეს შემთხვევაში,

2024-2025 სასწავლო წელს პირველ კურსზე მიღებული სტუდენტებისთვისაც კი პრაქტიკის გავლამდე ოთხი წელია.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: ინგლისური ფილოლოგია არ ამზადებს სტუდენტებს პედაგოგობისთვის; კურსდამთავრებულები შეიძლება გახდნენ აკადემიური მკვლევარები, ენათმეცნიერები, ლიტერატურათმცოდნეები, მთარგმნელები ან ლექსიკოგრაფები. უფრო მეტიც, საქართველოს კანონმდებლობით, სწავლების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია მასწავლებლის გადამზადების 60 კრედიტიანი პროგრამის გავლა, ხოლო ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამა ამ უფლებას არ მოიცავს. ამიტომ, კურსდამთავრებულებს არ აქვთ კვალიფიკაცია, რომ ასწავლონ საჯარო სკოლებში ან სკოლამდელ დაწესებულებებში წინასწარი მომზადების გარეშე. ნებისმიერი დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, სასურველია ხაზგასმით აღინიშნოს სხვა შესაძლებლობები და გაფორმდეს ხელშეკრულებები პოტენციურ დამსაქმებლებთან, როგორცაა ტურისტული სააგენტოები და მთარგმნელობითი ბიუროები. ამიტომ, ჩვენ ვტოვებთ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია #21 „კურსი „პრაქტიკა“ შეიძლება გახდეს არჩევითი, ან სწავლების მეთოდოლოგიაზე ფოკუსირებული საგნები (სწავლების მეთოდოლოგია (TKT) შეიძლება, რომ გახდეს სავალდებულო“.

პასუხი: ამ რეკომენდაციას ვერ დავეთანხმებით, რადგან ვფიქრობთ, რომ სწავლის სფეროდან გამომდინარე, სწავლების ბოლო ეტაპზე, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის პრაქტიკის გავლა აუცილებელია. პრაქტიკა მოიცავს ყველა იმ უნარის სინთეზს, რაც კი 7 სემესტრის განმავლობაში სავალდებულო საგნების სახით შეიძინა სტუდენტმა, ხოლო შემდეგ ამ უნარების რეალიზებას. თუკი ექსპერტები თვლიან, რომ პრაქტიკა აუცილებელი კომპონენტი არაა, მაშინ რამდენად ლოგიკურია აუცილებელი კომპონენტის „სწავლების მეთოდებს (TKT)“ სავალდებულო სტატუსით სწავლება, თანაც იმ სტუდენტებისთვის, ვინც არ აპირებს პედაგოგიურ საქმიანობას. რაც შეეხება „სწავლების მეთოდებს (TKT)“ „შეიძლება გახდეს სავალდებულო“ ამ შეთხვევაშიც ვერ დავეთანხმებით ექსპერტებს, რადგან ილახება იმ სტუდენტების უფლებები, რომლებიც არ აპირებენ საკუთარი კარიერა პედაგოგიურ საქმიანობას დაუკავშირონ. ვინაიდან, გვაქვს მრავალფეროვანი პრაქტიკა, პროგრამა მორგებულია ყველა სტუდენტის საჭიროებაზე. თავად ექსპერტები წერენ, რომ კურსი „შეიძლება გახდეს სავალდებულო“ რაც რჩევაა და არა რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: თუ უსდ გადაწყვეტს „პრაქტიკის“ კურსის სავალდებულოდ დატოვებას, პროგრამაში ასევე უნდა შევიდეს სწავლების მეთოდოლოგიის სავალდებულო კურსები. მართალია, უსდ ამტკიცებს, რომ ასეთი კურსების დაწესება არღვევს იმ სტუდენტების უფლებებს, რომლებიც არ აგრძელებენ პედაგოგიურ კარიერას, სწავლებით დაინტერესებულმა პირებმა შესაძლოა უგულებელყონ სწავლების მეთოდოლოგია, თუ ის არჩევით კურსად დარჩება. შესაბამისად, სტუდენტებმა, რომლებიც კერძო სექტორში აპირებენ სწავლებას, შეიძლება ვერ მიიღონ სათანადო მომზადება. ამიტომ, ექსპერტები ტოვებენ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია #22 „საგანი „კვლევის მეთოდები და საბაკალავრო პროექტის არქიტექტურა“ შეიძლება დაიყოს ორ ცალკეულ კურსად. გარდა ამისა, კურსი „კვლევის მეთოდები“ უნდა გადაიხედოს და მოერგოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდოლოგიის საჭიროებებს“.

პასუხი: ექსპერტის რეკომენდაციის ფორმულირებიდან გამომდინარე („შეიძლება“) აღნიშნული წარმოადგენს რჩევას და არა რეკომენდაციას. კურსის ორ ნაწილად დაყოფა არ იქნება სწორი, რადგან არქიტექტონიკა კვლევის დიზაინს მოიცავს, რომელიც არ საჭიროებს სემესტრულ სწავლებას. კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით კი გთხოვთ იხ. პასუხი მე-17 რეკომენდაციზე.

რაც შეეხება „კვლევის მეთოდების“ გადახედვას, რეკომენდაცია მისაღებია.

რეკომენდაცია #23 „რეკომენდებულია ზოგადად შეფასების სისტემის გადახედვა და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლების მეთოდების ადაპტირება“.

პასუხი: ეს რეკომენდაცია შინაარსობრივად იდენტურია მე-18 რეკომენდაციისა (იხილეთ მე-18 რეკომენდაციის პასუხი).

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: ექსპერტების რეკომენდაცია - კვლევის მეთოდოლოგიის აქცენტი გაკეთდეს ლიტერატურასა და ლინგვისტიკაზე და არა სოციოლოგიაზე, გათვალისწინებულია.

რეკომენდაცია #24 „რეკომენდებულია, რეაგირება მოახდინოთ იმ ფაქტზე, რომ სტუდენტებს არასაკმარისი ინფორმაცია მიეწოდებათ აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით; უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს ყოვლისმომცველი ზომები, ამ მხრივ სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად და ეთიკური ქცევის ხელშესაწყობად“.

პასუხი: იქნებ დაგვიკონკრეტოთ რას გულისხმობთ „არასაკმარის ინფორმაციასთან დაკავშირებით პრობლემის მოგვარება“-ში?

ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა ექსპერტებს ვიზიტის დროს მოეთხოვათ დოკუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რას აკეთებს უნივერსიტეტი აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ამ მიმართულებით სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების კუთხით.

თუმცა, უნივერსიტეტს თვითშეფასების ანგარიშის დანართში #8, წარმოდგენილი აქვს საქაღალდე „უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები“, რომელშიც დევს „პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების წესი“, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ამ

პრობლემასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, დაწყებული მისი აღმოჩენიდან, რეაგირების პროცესით დამთავრებული.

აღნიშნული წესი საჯაროდ დევეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც, იურიდიულ ცნობარში. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშის გვ. #21- დან ვრცელი ინფორმაციაა 2021-2023 წლებში **ბიბლიოთეკის ინიციატივით** ჩატარებული არაერთი ღონისძიების შესახებ. მათ შორისაა: **ტრენინგი - „პლაგიატის პროგრამის მახასიათებლები და ნაშრომის დამუშავების წესი“; ონლაინ ტრენინგი „TURNITIN-ის პროგრამასთან დაკავშირებით“.** აქვეა მითითებულია ლინკი, რომელზეც შეგიძლიათ ვრცლად ამ ინფორმაციის წაკითხვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ დაეთანხმება. ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

ჩვენ ვაფასებთ, რომ უნივერსიტეტმა დანერგა და გაასაჯაროვა პლაგიატის გამოვლენასთან და რეაგირებასთან დაკავშირებული პროცედურები, ასევე ჩატარა რამდენიმე ტრენინგი აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. თუმცა, წინა წლებში ამ დოკუმენტების გამოქვეყნება და ერთჯერადად ტრენინგის ჩატარება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ სტუდენტები საკმარის ინფორმაციას ფლობენ ამ საკითხის შესახებ.

როგორც ანგარიშში აღვნიშნეთ, ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე. ამიტომ, რეკომენდაცია გაკეთდა უფრო ფართო მიზნის გათვალისწინებით, რაც ხაზს უსვამდა არა მხოლოდ პოლიტიკისა და ცალკეული ღონისძიებების არსებობას, არამედ სტუდენტებს შორის აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშეწყობის მიმართ უნივერსიტეტის მიდგომის საერთო ეფექტურობასა და ყოვლისმომცველობას.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტირებული პროცედურების და წესების არსებობა აუცილებელია, რეალური გამოწვევა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა სტუდენტმა სრულად იცოდეს ამ პოლიტიკის შესახებ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი მუდმივად იყოს ჩართული სტუდენტებთან ამ საკითხებზე და ეს ჩართულობა სტუდენტურ გამოცდილებაში ინტეგრირებული მუდმივი პროცესი უნდა იყოს, რაც უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების თანმიმდევრულობას მათი უნივერსიტეტში ჩატარებული პერიოდის განმავლობაში. ეს ასევე შეიძლება მოიცავდეს რეგულარული სემინარების ჩატარებას და რესურსების შეთავაზებას, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს გააცნობიერონ ორიგინალური ნამუშევრის ღირებულება და პლაგიატის ეთიკური შედეგები.

საბოლოო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი უნდა დარწმუნდეს, რომ სტუდენტებს აქვთ საჭირო ცოდნა და რესურსები იმისთვის, რომ ეფექტურად დაიცვან აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები. ამიტომ, ექსპერტები ტოვებენ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია #25 „რეკომენდებულია, რომ ყველა კურსისთვის შეირჩეს შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი“.

პასუხი: აღნიშნული პროგრამის მომზადების საწყის ეტაპზე, უნივერსიტეტში ჩატარდა კონკურსი, რომლის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ, საინფორმაციო წყაროებში იყო განთავსებული. საკონკურსო განცხადებაში დაკონკრეტებული იყო აუცილებელი პირობები, კრიტერიუმები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია, თითოეული აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში.

კონკურსის მეტი გამჭვირვალობის მიზნით, საკონკურსო კომისიას არასოდეს თავმჯდომარეობს ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ამჯერადაც თავმჯდომარე მოწვეული იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ქალბატონი თამარ სირაძე, რომელიც არის უნივერსიტეტის პრორექტორი და ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. იმავდროულად, ქალბატონი თამარ სირაძე 2023 წელს იყო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრიც.

საკონკურსო კომისიაში წევრებად მონაწილეობდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი, რექტორი და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი. ისევ, განვმეორდებით, აკადემიური თანამდებობაზე კომისია არ აირჩევდა არცერთ კონკურსანტს, რომელიც ვერ დაადასტურებდა საკონკურსო მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაუგებარია, რატომ შეექმნათ ექსპერტებს სურვილი, აღნიშნული რეკომენდაციის დაწერისა.

ექსპერტები რეკომენდაციაში ითხოვენ, რომ „ყველა“ კურსზე შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი იყოს შერჩეული. მსჯელობისას კი ასახელებენ 4 კურსსა და მათ განმახროციელებლებს. ექსპერტები თავად ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს, როდესაც წერენ რომ „წარმოდგენილ პირად საქმეებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ აკადემიურ პერსონალს ძირითადად გააჩნია სასწავლო კურსების ჩასატარებლად საჭირო შესაბამისი კომპეტენცია, გვ.37), მითუმეტეს, რომ დასახელებული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ წაკითხულ კურსებს, კერძოდ:

“ბრიტანული და ამერიკული კულტურა” კურსის ხელმძღვანელს 2014-2020 წლებში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიყავდა კურსი „კულტურის საკითხების გაშუქება“. ამასთან, იგი არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ორი პრემირებული რომანის ავტორი, მწერალი. მას აქვს კულტურის სფეროს კვლევისა და სწავლების გამოცდილება. 2020 წელს კი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეგიდით გამომცემლობა „უნივერსალში“ გამოიცა მისი მონოგრაფია, სახელწოდებით: „გაზეთი საქართველო (1918-1919წწ)“. რომელშიც 63-78 გვერდებზე წარმოდგენილია: მე-11 თავი - კულტურა „გაზეთ საქართველოს“ ფურცლებზე და ქვეთავები: 11.1 „მწერლობა“ და 11.2. „ხელოვნება“. 2023 წელს გამოქვეყნებული აქვს სტატია სათაურით: „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები – ბრიტანული ავებური(avebury) და ქართული უფლისციხე კინოლოკუმენტალისტთა ფოკუსში“, N38. ის არის თანაავტორი წიგნისა „კანადა“,სადაც დიდი

ადგილი ეთმობა ბრიტანული და ამერიკული კულტურის გავლენის წარმოჩენას კანადის კულტურის ფორმირებაზე. ასევე, მას აქვს შემუშავებული სახელმძღვანელო „ბრიტანული და ამერიკული კულტურა“.

„ბრიტანული და ამერიკული განსხვავებანი“ კურსის ხელმძღვანელს უდასტურდება პროფესიული გამოცდილება, როგორც ფილოლოგს (ინგლისური ენის) ინგლისური ენის თავისებურებანი, იდიომატური თუ სლენგური გამონათქვამები, ძირითადი კულტურული და ისტორიული მოვლენები, ისევე როგორც განსხვავებანი ინგლისური ენის ძირითად მიმდინარეობებთან (ამერიკული და ბრიტანული) დაწვრილებით აქვს შესწავლილი და შესაბამისი კვალიფიკაციაც უდასტურდება. ამერიკისმცოდნეობის ფაკულტეტზე კი მან გაიღრმავა ცოდნა ამერიკული კულტურის, ენის თავისებურებებისა თუ ლიტერატურის მიმართულებით. მას აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება. ასევე, მსგავს კურსს სახელწოდებით „ბრიტანულ-ამერიკული ენა და კულტურა“ (სადაც აგრეთვე განვიხილავთ ბრიტანულ და ამერიკულ კულტურულ თავისებურებებს, სხვაობებს ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის და იდიომატურ თუ სლენგურ გამონათქვამებს) ასწავლის 2 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

„თარგმანის თეორია და პრაქტიკა“- სასწავლო კურსის ავტორი, მ. ნ. უკვე 20 წელზე მეტია ეწევა მთარგმნელობით პრაქტიკას (2003–2024 წლები). მას აქვს მრავალფეროვანი მთარგმნელობითი გამოცდილება – კონკრეტულად, ისეთ სფეროებში როგორცაა განათლების სექტორი, სამართალი, ეკონომიკა, მედიცინა, ტურიზმი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეხება ჰქონია და იცნობს თარგმანის სპეციფიკას, თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, თარგმანის დროს გასათვალისწინებელ ფაქტორებს. არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური თარგმანი. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ შემოთავაზებული კურსი ითვალისწინებს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლების გაცნობას და არა უშუალოდ თარგმანების მომზადებას (რაც დამატებით კომპონენტებს მოითხოვს და ამ კურსის ფარგლებში გათვალისწინებული არაა).

„თანამედროვე სამეტყველო ბრიტანული ენა“ კურსი არის პრაქტიკული ხასიათის და მოიცავს, ყოველდღიურ ბრიტანულ სასაუბრო სლენგებსა და გამოთქმებს. კურსის ხელმძღვანელს აქვს უმაღლეს სასწავლებელში ზოგადი ინგლისური მოდულის წაკითხვის 13 წლიანი გამოცდილება. ზოგადი ინგლისურის მოდული მოიცავს „სფიქინგის“ ნაწილს, რომელიც პირდაპირ ბმავს ადინიშნულ საგანთან. მას აქვს შექმნილი სახელმძღვანელო სახელწოდებით „თანამედროვე სამეტყველო ბრიტანული ენა“ ამ კურსის წასაკითხად პედაგოგს რაიმე დამატებითი გამოცდილება არ სჭირდება, შესაბამისად, ამ რეკომენდაციას ვერ გავიზიარებთ.

შესაბამისად, ზემოაღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი ვერ გაიზიარებს.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

„ბრიტანული და ამერიკული კულტურის“ ლექტორს ბაკალავრის ხარისხი მიღებული აქვს სოციალურ მეცნიერებებში, ხოლო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ხარისხები - ჟურნალისტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ლექტორმა გამოაქვეყნა ერთი სტატია "კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები - ბრიტანული ავბერი და ქართული უფლისციხე კინოდოკუმენტალისტთა ყურადღების ცენტრში", ეს არ აძლევს მას საკმარის კვალიფიკაციას იმისთვის, რომ წაიყვანოს 15 კვირიანი კურსი ბრიტანული კულტურის შესახებ, რაც განპირობებულია კურსისთვის დამახასიათებელი დეტალებით. უნდა აღინიშნოს, რომ CV-ში არ არის ნახსენები სახელმძღვანელო - "ბრიტანული და ამერიკული კულტურა". იგივე შეიძლება ითქვას "ბრიტანული და ამერიკული განსხვავებების" კურსის ლექტორზე, რადგან მისი სამეცნიერო საქმიანობა მოიცავს მხოლოდ ამერიკულ კვლევებს და ამერიკულ კულტურას და მას არ აქვს პუბლიკაციები ბრიტანული კულტურის ან ამ ორ კულტურას შორის განსხვავებების შესახებ.

ექვვარეშეა, რომ „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“- სასწავლო კურსის ავტორი, მ. ნ., მართლაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს თარგმანში, მაგრამ მის თეორიულ გამოცდილებას არ ადასტურებს მისი ხარისხი ან პუბლიკაციები. მაშასადამე, ვფიქრობთ, რომ იგი უფრო შესაფერისი იქნებოდა პრაქტიკული კურსის წარმართვისთვის, ხოლო თეორიული კურსი უნდა წაიკითხოს თარგმანის თეორიაში უფრო მეტი კვალიფიკაციის მქონე პირმა.

რაც შეეხება „თანამედროვე სალაპარაკო ბრიტანულ ენას“, მიგვაჩნია, რომ ამერიკისმცოდნეობის პროფესიონალს არ აქვს საკმარისი კვალიფიკაცია, რომ წაიყვანოს უშუალოდ ლინგვისტური კურსი თავისი ფონეტიკური დეტალებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამის დასაბუთება შეიძლება პუბლიკაციებით.

ამიტომ, რეკომენდაციები უცვლელი რჩება.

რეკომენდაცია #26 „რეკომენდებულია დეპარტამენტში თანახელმძღვანელის თანამდებობის გამოყოფა, რომელიც შეავსებს არსებულ ხელმძღვანელს. თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელიც მჭიდროდ შეესაბამება დეპარტამენტის სფეროს“.

პასუხი: პროგრამის ხელმძღვანელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 11 წელია ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ინგლისური ენის მიმართულებით, ამასთან, მისი ბოლო სამეცნიერო პროდუქტიულობა ასახავს მის წვლილს აღნიშნულ დარგში (მან პირველმა შემოიტანა პოდკასტური სწავლება საქართველოში). აქვე, გატყობინებთ, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „ინგლისური ფილოლოგიის“ სფეროს დარგის ექსპერტი, რაც ვფიქრობთ აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა მაგისტრის და დოქტორის ხარისხი დაიცვა ამერიკისმცოდნეობაში, და მისი საქმიანობის უმეტესი ნაწილი ამ სფეროზე იყო ორიენტირებული. ამერიკისმცოდნეობის მაგისტრის და დოქტორის ხარისხის მქონე პირი

არ შეიძლება იყოს ინგლისური ფილოლოგიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ამერიკისმცოდნეობა და ინგლისური ფილოლოგია, მიუხედავად იმისა, რომ დაკავშირებულია, არის განსხვავებული აკადემიური დისციპლინები სხვადასხვა აქცენტებით. ამერიკისმცოდნეობა, როგორც წესი, ხაზს უსვამს შეერთებული შტატების კულტურულ, ისტორიულ და სოციალურ ასპექტებს, რომელიც მოიცავს მულტიდისციპლინურ მიდგომას, მათ შორის ლიტერატურას, ისტორიას, პოლიტიკას და სოციოლოგიას.

ამის საპირისპიროდ, ინგლისური ფილოლოგია, უპირველეს ყოვლისა, ეხება ინგლისური ენის ისტორიულ და სტრუქტურულ ანალიზს, მათ შორის მის ლიტერატურას, ლინგვისტიკასა და ტექსტის კრიტიკას. მაშასადამე, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის საჭირო ექსპერტიზა გულისხმობს ლინგვისტური თეორიის, ისტორიული ლინგვისტიკის და ინგლისური ლიტერატურის განვითარების ცოდნას, რაც შეიძლება სცდებოდეს ამერიკისმცოდნეობის ფარგლებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს მაღალი კვალიფიკაცია თავის სფეროში და სწავლების გამოცდილება (რაც არ არის ფილოლოგიური), მათ შეიძლება არ გააჩნდეთ უშუალოდ ფილოლოგიური ცოდნა, რომელიც საჭიროა ინგლისური ენისა და ლიტერატურის ყოვლისმომცველ შესწავლაზე ორიენტირებული დეპარტამენტის ეფექტური ხელმძღვანელობისა და განვითარებისთვის. ამიტომ, ექსპერტები ტოვებენ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია #27 „რეკომენდებულია გადაიხედოს უნივერსიტეტის დატვირთვის სტრუქტურა, რათა ჩაითვალოს კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის საათები, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მრავალმხრივი პასუხისმგებლობის თანაბარ აღიარებას და მხარდაჭერას“.

პასუხი: ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის მიერ ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე წარდგენილ იქნა სამეცნიერო პროდუქტიულობის ფორმა, რომელსაც ყოველი კალენდარული წლის დასრულებამდე ავსებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. მეტი თვალსაჩინოებისთვის წარვადგინეთ ერთ-ერთი პროფესორის მიერ შევსებული ფორმა. აღნიშნულ ფორმაში კარგად ჩანს, რა მხარდაჭერა ეკუთვნის პროფესორს, მის მიერ კალენდარულ წელს ჩატარებული სამეცნიერო აქტივობებისათვის.

რადგან ამ პროგრამის განხორციელება აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, 2024 წლის სექტემბრიდან დაიწყება, ცხადია, მის განხორციელებაში ჩართული პერსონალი, აღნიშნულ ფორმას 2024 წლის დეკემბერში შეავსებს, თუმცა, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანმდევ დოკუმენტებში, დანართში #14, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტები: აკადემიური პერსონალის რანგირების წესი; სამეცნიერო პროდუქტიულობის თვითშეფასების ფორმა; სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესი; მეცნიერების წახალისება.

გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშის დანართში #17 წარმოდგენილია ინფორმაცია ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერი ღონისძიებების შესახებ. გთხოვთ იხილოთ.

ამას გარდა, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი ყველა მხარდამჭერი ღონისძიება, რომლებსაც უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერებისთვის ახორციელებს. გთხოვთ იხილოთ თვითშეფასების ანგარიშის გვერდი #35; 38-41; 55.

ისე, რომ ამ რეკომენდაციას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან უსაფუძვლოა, მით უფრო, რომ ექსპერტებს შეეძლოთ მოეთხოვათ უნივერსიტეტის დატვირთვის სტრუქტურა“ და ვიზიტის დროსვე მიეღოთ ჩვენგან პასუხი ყველა კითხვაზე.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ აკადემიური პერსონალის ამჟამინდელი დატვირთვა არ მოიცავს კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობისთვის განკუთვნილ დროს. სამწუხაროა, რომ პედაგოგთა სამეცნიერო საქმიანობა სრულად არ არის ასახული სამუშაო დატვირთვის სტრუქტურაში. ამიტომ, ჩვენ ვტოვებთ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია #28 „რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის ვორქშოპების რეგულარულად მომზადება, რათა გაეცნონ ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებულ სიახლეებს და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შიდა ხარისხის განვითარებაში“.

პასუხი: მოქმედი პროგრამების შემთხვევაში, პროგრამის დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ფორმები, რომელთა საშუალებითაც ყოველი სემესტრის / სასწავლო წლის ბოლოს გამოვიკითხავთ დაინტერესებულ მხარეებს, ვაანალიზებთ გამოკითხვის შედეგებს და ვგეგმავთ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მათ პროფესიულ განვითარებას ჭირდება. აღნიშნული დანართები წარმოდგენილია დანართში #14 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი. ესენია: პროგრამების განხორციელებისა და შეფასების სისტემა; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და დანართები, რომლებშიც არის ფორმები: დანართი #8 აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის განხორციელების შეფასება; დანართი #9 სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და პროფესორის შეფასების ფორმა; დანართი # 10 კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა; დანართი # 11 დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმა; დანართი #12 აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის შეფასება.

ახლა რაც ეხება რეკომენდაციას, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ პროგრამას ჯერ არ ვახორციელებთ, შესაბამისად, მას არც სტუდენტი ყავს და არც კურსდამთავრებული. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს და დამსაქმებლებს, ისინი პროგრამის შემუშავებიდან დაწყებული, მისი განხორციელების დროსაც მუდმივად იქნებიან ჩართულნი ამ პროცესებში (იხილეთ ქვესტანდარტი 5.1). რადგან ჩვენ უკვე გვაქვს მრავალწლიანი პრაქტიკა, თუ როგორ ჩავრთოთ დაინტერესებული მხარეები პროგრამის განხორციელების, მოდიფიცირებისა და

განვითარების პროცესში, ცხადია, იგივეს განვახორციელებთ აღნიშნული პროგრამის შემთხვევაშიც.

რაც ეხება გამოკითხვის შედეგების გაანალიზების შედეგად დაგეგმილ ღონისძიებებს, გთხოვთ, იხილოთ დანართში #17, აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმები, რომლებშიც კარგად ჩანს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან განსახორციელებელი აქტივობები, რომელთა მეშვეობითაც პროგრამაში ჩართული დაინტერესებული მხარეები ეცნობიან ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებულ სიახლეებს და აქტიურ მონაწილეობას იღებენ შიდა ხარისხის განვითარებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს სამომავლო რჩევა უფროა, ვიდრე რეკომენდაცია, ანუ შენიშვნა. ვფიქრობთ, თუ ექსპერტები ჩვენს მიერ მითითებულ დოკუმენტებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშებს გაეცნობოდნენ, ასეთი „რეკომენდაციის“ დაწერის საჭიროებას ვერ დაინახავდნენ.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ განვიხილავთ თქვენს პროტესტს რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რადგან მოწოდებული რჩევები ძალაშია, რაც სასწავლო გეგმით დასტურდება. უშუალოდ რეგულაციების საერთაშორისო/ ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა მარტივია, მაგრამ თუ ამ პროცესებში აკადემიური პერსონალი არ არის აქტიურად ჩართული, სასწავლო გეგმის შეჯამების დროს შეიძლება შეცდომები იყოს. ოპტიმალური შედეგების მისაღწევად აკადემიურმა გუნდმა უნდა გაიაროს ეტაპობრივი ტრენინგი ამ სტანდარტების შესაბამისად, და დამოუკიდებლად შეძლოს მუშაობა სასწავლო გეგმაზე. მიუხედავად იმისა, რომ გადავხედეთ ტრენინგების კალენდარს, შემოთავაზებული ტრენინგის თემები არასაკმარისად მივიჩნით.

რეკომენდაცია #29 „რეკომენდებულია გარე კოლეგიური შეფასების არეალის გაფართოება საქართველოს შრომის ბაზარზე ამ საგანმანათლებლო პროგრამის მართებულობის წარმოჩენის და ინტერნაციონალიზაციის ფარგლების და ხარისხის გაფართოების და განვითარების ახალ ეტაპზე გადაყვანის მიზნით“.

პასუხი: პროგრამაზე უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ორი გარე ექსპერტის შეფასება, რომლებიც დადებითია და აბათილებს ექსპერტების მიერ გამოთქმულ თითქმის ყველა რეკომენდაციას. რა თქმა უნდა, საქართველოს შრომის ბაზარზე საგანმანათლებლო პროგრამის ვალიდურობის წარმოჩენის, ინტერნაციონალიზაციის ფარგლებისა და ხარისხის გაფართოების მიზნით, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ახალ ეტაპზე გადასაყვანად, კარგი იქნება გარე კოლეგიალური შეფასების არეალის გაფართოება, თუმცა ეს მხოლოდ სამომავლო რჩევაა (და არა შენიშვნა - ანუ რეკომენდაცია). არცერთ მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი გარე კოლეგიალური

შეფასება უნდა ქონდეს პროგრამას, აკრედიტაციის მიზნებისთვის, თუმცა, გეთანხმებით, რაც მეტი ექსპერტის მოსაზრებას მოისმენს უნივერსიტეტი, მით უკეთესია.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:

ჩვენმა გუნდმა საფუძვლიანად შეისწავლა ყველა დანართი, მათ შორის ორი გარე შეფასება. თუმცა, ჩვენის აზრით, ეს დოკუმენტები უფრო მხარდაჭერის წერილების სახეს ატარებს, ვიდრე მკაცრი გარე შეფასებისა. შეფასების ამოცანა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მეთოდურად რომ ყოფილიყო სტრუქტურირებული, საგნის ექსპერტები შეძლებდნენ სასწავლო გეგმაში ყველა შეცდომის იდენტიფიცირებას. შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაციაა უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გარე შეფასების ყოვლისმომცველი მეთოდოლოგია, რაც საშუალებას მისცემს დამოუკიდებელ ექსპერტებს შეაფასონ სასწავლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამა მოიცავს 8 მიზანს. ეს მიზნები მოიცავს სტუდენტებში ინგლისური ენის ოთხივე უნარის განვითარებას (მეტყველება, წერა, კითხვა და მოსმენა); პრობლემებისა და თემების ფართო სპექტრზე ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებას; ბრიტანელი ერის უნიკალური ენისა და კულტურის გამორჩეული პროცესის, აგრეთვე ისტორიის დინამიკის ცოდნას; კვლევითი პროექტის განხორციელებას, საკვლევი თემის იდენტიფიცირებას, საბაკალავრო პროექტის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკის გამოყენებას. (პროგრამა, გვერდები 4 და 5). ეს მიზნები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამის სასწავლო კურსების მოსალოდნელ შედეგებს.

ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს პროგრამის მიზნების საფუძვლიან გადახედვას. პირველი მიზანი: „სტუდენტთა ინგლისური ენის ოთხივე უნარ-ჩვევის განვითარება (მეტყველება, წერა, კითხვა და მოსმენა)“. ეს ფორმულირება მოიცავს ენის ათვისების მხოლოდ პირველ ეტაპს. მეორე მიზანი ჩამოყალიბებულია, როგორც „სტუდენტებს აძლევს საშუალებას რომ შეძლონ პრობლემებისა და თემების ფართო სპექტრზე კომუნიკაცია B2+ დონეზე „უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული კომპეტენციების შესაბამისად: სწავლა, სწავლება, შეფასება (CEFR)“. ეს შედეგი პირველ და მეორე მიზანში უნდა შედიოდეს, რადგან ის ემთხვევა სხვა მიზნებს, რომლებიც ორიენტირებულია კომუნიკაციასა და ენის ცოდნაზე.

მესამე მიზანი ჩამოყალიბებულია, როგორც „მიეცეს პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალება იცოდნენ ბრიტანელი ერის უნიკალური ენისა და კულტურის გამორჩეული პროცესი, ისევე როგორც ისტორიის დინამიკა“. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ცუდად დაწერილი მიზანია, მასში ბევრი რამ არის გაერთიანებული. რეალურად, ეს უნდა იყოს შედეგი, რომელიც ასახავს დარგის თეორიულ ცოდნას, რომლის გარეშეც პროგრამას არ შეუძლია მიაღწიოს კვალიფიკაციით დადგენილ შედეგებს. მეხუთე მიზანში წერია: „მიეცეს პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალება გააანალიზონ სხვადასხვა ჟანრის ტექსტი შესაბამისი ლინგვისტური ტერმინოლოგიის გამოყენებით, შეძლონ ტექსტის ინტერპრეტაცია და შესაბამისი სტილით ადეკვატური თარგმანი და დამოწმება“; ეს შედეგი აერთიანებს ყველა იმ მიზანს, სადაც სალიტერატურო ტექსტის თემა ნახსენები, თუმცა არსად არ არის ნათქვამი, რომ პროგრამით გათვალისწინებულია მთარგმნელობითი ტექნიკის შესწავლა და რომ ის სავალდებულო კურსია;

მეექვსე მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „პროგრამის კურსდამთავრებულებს მიეცეთ საშუალება გააანალიზონ და გამოიყენონ მეტყველების/წინადადებების ნაწილები მათი მორფოლოგიურ-სინტაქსური მახასიათებლებისა და ფუნქციური მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ენაზე სრულფასოვან კომუნიკაციას როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. ამ მიზანში უნდა აღინიშნოს პრაქტიკული ენის ცოდნა, რადგან მიზანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ანალიზი და შესწავლა. მეშვიდე მიზანი: „მიეცეთ პროგრამის კურსდამთავრებულებს საშუალება გაეცნონ ინგლისური ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოებების ძირითად წარმომადგენლებს; ესმოდეთ ინგლისური ლიტერატურის ტენდენციები.“ ეს მიზანიც უნდა გადაიხედოს. კერძოდ, ამ მიზანთან ერთად უნდა აღინიშნოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის მიზანიც, რომელიც ლიტერატურის შესწავლის შედეგია. მერვე მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „პროგრამის კურსდამთავრებულებს მიეცეთ საშუალება, დამოუკიდებლად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევითი პროექტი, გამოავლინონ საკვლევი თემა, გამოიყენონ საბაკალავრო პროექტის განახორციელებლად საჭირო ტექნიკა“; თუმცა, ეს მიზანი არ შეესაბამება კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს. იგი შეესაბამება კლავიფიკაციის მე-7 საფეხურს (მაგისტრატურას). უსდ უნდა მოიცავდეს მიზნებს, რომელიც ორიენტირებული იქნება სტუდენტების ინიციატივისა და დამოუკიდებელი კვლევის უნარების განვითარებაზე.

პროგრამის მიზნები გარკვეულწილად შეესაბამება უსდ-ის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიას.

ნაწილობრივ გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და საჭიროებები. შრომის ბაზრის პოტენციური საჭიროებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჩატარდა ბაზრის კვლევა, რომელიც მოიცავდა დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასებას. შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და საჭიროებები, როგორც სამიზნე, არ ყოფილა გათვალისწინებული. ინტერვიუების დროს უსდ-ის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამ მხოლოდ ადგილობრივ შრომის ბაზარზე ორიენტირების საფუძველი არის სწავლების ენა, ანუ ქართული ენა ინგლისური კომპონენტით. ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა უნდა შექმნას პოტენციურ დამსაქმებლებთან მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმი.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია აცნობა, რომ უსდ-ს ძირითადი აქცენტი გამავალ მობილობაზეა, მობილობის სხვადასხვა პროგრამის საშუალებით. საერთაშორისო სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ უსდ-ში, ირიცხებიან ინგლისურენოვან პროგრამებზე და ისინი არიან სრულგანაკვეთიანი სტუდენტები. ეს გასაგებია, რადგან უცხოელი სტუდენტები, რომლებმაც არ იციან ქართული, ვერ შეძლებენ პროგრამაში ჩარიცხვას, სრულ განაკვეთზე. სასურველია ინგლისურენოვანი კურსების რაოდენობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

პროგრამა მოიცავს შესავალ კომპონენტებს, როგორცაა "შესავალი ენათმეცნიერებაში", "შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში" და "შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში", ასევე დარგობრივ კურსებს, როგორცაა "ინგლისური ენის სტილისტიკა", "ინგლისური ენის ლექსიკოლოგია" და "ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები" 1,2,3 და ა.შ. ამ კურსების შეთავაზება ასახავს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს დარგის თავისებურებებს და შეესაბამება სასწავლო დონეს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ფილოლოგიის მხოლოდ რამდენიმე ძირითადი კურსი ვერ მოამზადებს სტუდენტებს ინგლისური ენის ფართო ცოდნის მიღებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის, როგორც ეს აღწერილია პროგრამის მიზნებში;

პროგრამით განსაზღვრული მიზნები ასახავს დარგობრივ ცოდნას. იგი მოიცავს თეორიულ კურსებს, კერძოდ: "ინგლისური ენის ფონეტიკა", "ინგლისური ფილოლოგიის შესავალი", "ინგლისის ისტორია", "ინგლისური გრამატიკის თეორია" და ა.შ. გარდა ამისა, პროგრამა ხაზს უსვამს უნარების განვითარების ასპექტებს, განსაკუთრებით კი პრაქტიკულ კურსებს, როგორცაა „მოსმენა და მეტყველება“, "ინტენსიური კითხვა", "ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია" და "ინგლისური ენის უნარები 1,2,3,4".

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი, პროგრამა სტუდენტებს აწვდის საჭირო უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია ადგილობრივი შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნების შესასრულებლად. ის ასევე ამზადებს მათ სწავლის მომდევნო საფეხურზე შემდგომი აკადემიური საქმიანობისთვის, რომელიც მოიცავს სამაგისტრო პროგრამებს და მასწავლებელთა მომზადების ერთწლიან კურსებს. ეს, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს მათ აიმაღლონ კვალიფიკაცია, გამოიყენონ თავიანთი კომპეტენციები და შესაძლებლობები პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში და შეძლონ კარიერული წინსვლა. საბოლოო ჯამში, ეს მრავალმხრივი მომზადება ხელს უწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, მორალურ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ირკვევა, რომ პროგრამა ცდილობს სტუდენტებს უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურებზე გადასვლის და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება მისცეს. ეს შესაძლებელი ხდება იმის უზრუნველყოფით, რომ სტუდენტები ეუფლებიან ინგლისურ ენის მინიმუმ B2 დონეზე, სხვა უცხო ენას კი B1 დონეზე და ასევე იმით, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებს უვითარდებათ საკომუნიკაციო და ინგლისურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული კომპეტენციები (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 7).

პროგრამის მიზანია, შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ხედვასა და მისიას, რომელიც ხასიათდება შემდეგი ძირითადი ელემენტებით: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის ხელშემწყობი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუცია, რომელიც ავითარებს ქართულ და მსოფლიო კულტურის ფასეულობებს თანამედროვე ცოდნაზე დაყრდნობით. (უნივერსიტეტის ხედვა). კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქმნის თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას (უნივერსიტეტის მისია).

პროგრამის შემუშავების კონტექსტში, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას, გაჩნდა კითხვა პროგრამაში ინტეგრირებულ ინოვაციურ ასპექტებთან დაკავშირებით. მათი პასუხების მიხედვით, პროგრამის ინოვაციური ელემენტები, პირველ რიგში, წარმოდგენილია სასწავლო პროგრამის დიზაინით, რომელიც გარკვეულწილად უნიკალურია.

მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი და ინტერვიუების დროს მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, შრომის ბაზრის ანალიზი ჩატარდა 2023 წლის თებერვალ-მარტში. კვლევა მოიცავდა საქართველოს შრომის ბაზარს. ის ცხადყოფს, რომ შრომის ბაზარზე არის კვალიფიციური სპეციალისტებისადმი მზარდი მოთხოვნა, კერძოდ კონკრეტულ დარგებში; ასევე, გამოვლინდა შრომის ბაზრის კონკრეტული ტენდენციები (მაგალითად, რესპოდენტების დიდი რაოდენობა აცხადებს, რომ უპირატესობას ანიჭებს ისეთ სპეციალისტებს, რომელთაც არ აქვთ ფართო განათლება, თუმცა აქვთ გავლილი შესაბამისი ტრენინგი და ფლობენ შესაბამის სერტიფიკატს). რეკომენდებულია ინგლისური ფილოლოგიისთვის უპირატესობის მინიჭება, რამეთუ ის აღიქმება

მაღალ კვალიფიკაციად, მიუხედავად იმისა რომ არ მოიცავს უმაღლესი დონის განათლებას, მისი რელევანტური ტრენინგისა და სერტიფიცირებიდან გამომდინარე. ზოგიერთ ორგანიზაციაში, სადაც ენის სწავლება მთავარ ფოკუსს წარმოადგენს, განსაკუთრებული მოთხოვნაა ისეთ სპეციალისტებზე, რომელთაც ენების მიმართულებით აქვთ უმაღლესი დონის განათლება. განათლების სექტორში დასაქმებულთა უმრავლესობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ პირადად გაიარონ ტრენინგი შესაბამის კომპეტენციებში (ენობრივი უნარები), ასევე სწავლების მეთოდებში. თუმცა, პროგრამა გთავაზობთ მხოლოდ ერთ კურსს, რომელიც უშუალოდ თარგმანს ეძღვნება, ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებულ სამ არჩევით კურსთან ერთად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამა ძირითადად მიზნად ისახავს ინგლისურ ენასა და ლიტერატურაზე ფოკუსირებას და შექმნილია საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი მიდგომით, მისი უმთავრესი ორიენტირი თარგმანი ან პედაგოგია არ არის. თუმცა, მასში არის კურსები, რომლებიც მოიცავს ასეთ ასპექტებს.

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს 32 უცხოურ უნივერსიტეტთან. საერთაშორისო განათლებისა და შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა განაგრძოს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაზე, მათ შორის საერთაშორისო პროექტების გეგმვებზე, უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტთა და პერსონალის გაცვლის პროგრამებზე. მობილობის გაცვლითი პროგრამები: როგორც რექტორმა აღნიშნა, პროგრამა ითვალისწინებს გამავალი მობილობის გაცვლით პროგრამებს.

პროგრამა, იმ ფორმით, რომლითაც თავდაპირველად წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს, საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებსაიტზე.

გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ამ ჩართულობას უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ჩანაწერები ადასტურებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ-ს მისია, მიზნები და სტრატეგია, მისი ფაკულტეტის / სკოლის/ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული და/ან სტრუქტურული ერთეული;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნათა ანალიზი;
- ოქმები;
- ვებ-საიტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, რათა პროგრამის მიზნები მიღწევადი იყოს.
- რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ზედმიწევნით გადახედვა და მათი ჰარმონიზაცია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

○ სასურველია ინგლისურენოვანი კურსების რაოდენობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მითითებულია, რომ სწავლის ერთ-ერთი შედეგია სხვადასხვა ჟანრის ტექსტის გაანალიზება შესაბამისი ენობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით (შერეული, რთული და წარმოებული სიტყვები); ტექსტის ინტერპრეტაცია და ადეკვატური თარგმანი, შესაბამისი სტილითა და ფორმით. თუმცა, ინგლისური ფილოლოგიის შესავალ კურსს აქვს მხოლოდ 4 ECTS, ხოლო ინგლისურ სტილისტიკას აქვს მხოლოდ 3 ECTS. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უსდ-მ ლინგვისტიკის ამ ძირითად კურსებს მეტი კრედიტი მიანიჭოს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს ენის დაუფლების სფეროში. ეს შედეგები მოიცავს ცოდნას, გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას.

პროგრამის მიზნები მოიცავს ათ ძირითად ასპექტს. ეს მიზნები მიზნად ისახავს სტუდენტებში ინგლისური ენის ოთხივე უნარის განვითარებას (მეტყველება, წერა, კითხვა და მოსმენა); სტუდენტების უნარს, ისაუბრონ პრობლემებისა და თემების ფართო სპექტრზე B2+ დონეზე უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული კომპეტენციების შესაბამისად: სწავლა, სწავლება, შეფასება (CEFR); ბრიტანელი ერის უნიკალური ენისა და კულტურის გამორჩეული პროცესის ასევე ისტორიის დინამიკის ცოდნა და სხვ. (პროგრამა, გვ. 4-5).

აღნიშნული მიზნები დაკავშირებულია პროგრამის მოსალოდნელ შედეგებთან (დანართი 5, პროგრამა გვ. 52-53). ეს კავშირი აშკარად ჩანს პროგრამის ნარატივში, რომელიც ხაზს უსვამს იმას, თუ რას უნდა ფლობდნენ კურსდამთავრებულები ცოდნის, მოვლენების, პრინციპების, კონცეფციების, თეორიებისა

და ფილოლოგიური მეთოდების თვალსაზრისით. იგი ასევე ხაზს უსვამს ინგლისური ენის ცოდნას B2+ დონეზე პრობლემებისა და თემების ფართო სპექტრზე კომუნიკაციისთვის.

თუმცა, როდესაც საქმე ეხება შედეგს, რომელიც შედის უნარების ნაწილში, სადაც ნათქვამია შემდეგი: „საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს აქვთ უნარი, რომ შეძლონ პრობლემებისა და თემების ფართო სპექტრზე კომუნიკაცია B2+ დონეზე „უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული კომპეტენციების შესაბამისად: სწავლა, სწავლება, შეფასება (CEFR)“, ეს არ ჩანს რეალისტურად პროგრამისა და სილაბუსების ზედმიწევნითი ანალიზის შემდეგ. უსდ-მ სტუდენტებს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია და ნაცვლად იმისა, რომ შეპირდეს ინგლისური ენის B+ დონეზე ცოდნას, რეალური შედეგი უნდა იყოს: „კურსდამთავრებული პრობლემებისა და თემების ფართო სპექტრზე კომუნიკაციას ახდენს მინიმუმ B2 დონეზე, უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული კომპეტენციების შესაბამისად: სწავლა, სწავლება, შეფასება (CEFR).“ პროგრამა სტრუქტურირებულია ისე, რომ შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს სპეციფიკაციებს დარგის სპეციფიკური ელემენტების ინტეგრირებით. ეს მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კურსებს, საბაკალავრო ნაშრომის სეგმენტთან ერთად, რომელიც ან კვლევაზე ორიენტირებული ან პრაქტიკული ნაშრომია. კურიკულუმი მოიცავს ლინგვისტიკას, ლიტერატურულ ანალიზსა და თარგმანს. პროგრამის მიზანია მიაწოდოს სტუდენტებს სამიზნე ენის საფუძვლიანი ცოდნა, ასევე მასთან ასოცირებული კულტურული და სოციალური გარემოს, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურული ასპექტების უფრო სიღრმისეული აღქმა. ეს მიდგომა შეესაბამება უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VI და VII საფეხურებისთვის (ენის დაუფლებაში უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, განათლების პირველი და მეორე საფეხურები, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს VI და VII დონე, გვ. 5-6).

პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მოთხოვნებს, რაც მათ საშუალებას აძლევს განაგრძონ განათლება მომდევნო საფეხურზე. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ კითხვარები დაურიგა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის პოტენციურ დამსაქმებლებს; პროგრამის შექმნის დროს, გათვალისწინებული იყო მათი უკუკავშირი. კურსდამთავრებულებს ექნებათ განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. როგორც 1.1 ქვესტანდარტშია აღნიშნული, პროგრამა ყურადღებას ამახვილებს შრომის ბაზრის უმთავრეს მოთხოვნებზე. მისი უპირველესი მიზანია, კურსდამთავრებულებს მისცეს ის აუცილებელი განათლება და უნარები, რომელიც შრომის ბაზრის მოლოდინებს დააკმაყოფილებს. მოწოდებული დოკუმენტები და ინტერვიუების შედეგები ცხადყოფს, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პროგრამის შედეგების ჩამოყალიბებაში. გასაუბრებისას, დამსაქმებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა მათი რჩევები და ინიციატივები, რაც მოწმობს, რომ უნივერსიტეტი რეაგირებას ახდენს გარე დაინტერესებული მხარეების უკუკავშირზე. დამსაქმებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათ ინფორმაცია მიაწოდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. დაინტერესებული მხარეების, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიურ ჩართულობას მოწმობს ჩვენთვის მოწოდებული დოკუმენტაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა;

- ენის დაუფლებაში უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხური, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს VI და VII დონე.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ვებ-საიტი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლის შედეგის გადახედვა უნარების ნაწილში, რადგან პროგრამის რეალისტური შედეგი იქნება: „კურსდამთავრებული პრობლემებისა და თემების ფართო სპექტრზე კომუნიკაციას ახდენს მინიმუმ B2 დონეზე, უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული კომპეტენციების შესაბამისად: სწავლა, სწავლება, შეფასება (CEFR).“
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მათი შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის ძირითად საგნებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა *ინგლისური ენა და ლიტერატურა* ახალია და ბუნებრივი, სააკრედიტაციო პორტფოლიოში ვერ ექნებოდა წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების ანალიზური დოკუმენტი. თუმცა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ საუნივერსიტეტო რეგულაციას, სადაც აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

დაწესებულებაში კომპლექსურად ხდება სწავლის შედეგების შეფასება როგორც არაპირდაპირი, ისე პირდაპირი მეთოდოლოგიით, რაც თავის მხრივ გულისხმობს პირველ შემთხვევაში პროფესორთა, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სტუდენტების გამოკითხვას, კურიკულუმის ანალიზსა და შედარებას ანალოგიურ პროგრამებთან და სხვა, რომლის როგორც მოსამზადებელ, ისე შედეგების განმსაზღვრელ ფაზაში აქტიურადაა ჩართული პროგრამის ხელმძღვანელები. წინამდებარე პროცესებში ასევე აქტიურია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. რაც შეეხება სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდს, ამ პორცეში უშაულოდ ხდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასება და შეფასების პროცესში დამდგარი შედეგების ანალიზი. წინამდებარე პროცესში დაწესებულება შეფასების ფორმებად იყენებს არაერთ ინსტრუმენტს, მათ შორის ფასდება სასწავლო

პროცესის ცალკეული პროცესები და მისი შემადგენელი მეთოდები (ღია კითხვა, თეორიული საკითხი, პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაო, პროექტის პრეზენტაცია, საბაკალავრო ნაშრომი).

წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განსაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით პოტენციურად მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები, სახელდობრ მათ შორისაა: *ინგლისური ენის ინტეგრირებული უნარები III (B2+) (ინგლისურად); ინგლისური ენის გრამატიკა II (B2+) (ინგლისურად); ინგლისური ენის სტილისტიკა (ინგლისურად); თარგმანის თეორია და პრაქტიკა; ინგლისური ენის ფუნქციური გრამატიკა (ინგლისურად); ინგლისური ენის ისტორია; ლიტერატურის თეორია; ინგლისური ლიტერატურა 1901-დან-დღემდე; ინგლისის ისტორია; ბრიტანული და ამერიკული კულტურა; კვლევის მეთოდები და საბაკალავრო პროექტის არქიტექტონიკა; ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია; პრაქტიკა; საბაკალავრო პროექტი.* თუმცა დარგობრივი მიდგომებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო შეფასებულიყო *ლექსიკოლოგიისა და ინგლისური ენის გრამატიკის თეორიის* სასწავლო კურსები, ვინაიდან წინამდებარე სასწავლო კურსები ფოკუსირებს ენის სისტემის ცოდნაზე, რაც ბაზისური პირობაა ფილოლოგიური ცოდნის მიღებისათვის ანუ როგორც ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობის თეორიების ათვისების, ისე პრაქტიკული ენის კომპეტენციის მიღებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა და გაანალიზა მითითებული სასწავლო კურსები სწავლის შეფასების მატრიცაში, ისევე როგორც მათი იმართება პროგრამის შედეგებთან, რათა განესაზღვრა შერჩეული სასწავლო კურსების შერჩევის მეთოდოლოგიის სიზუსტე, რომლითაც პროგრამის მენეჯმენტი შეაფასებდა პროგრამით გაწერილი შედეგების მიღწევადობას. ანალიზმა აჩვენა:

- შედეგი 2-ს, რომელიც მიემართება ენისა და კულტურის ისტორიის დინამიკის პროცესების სწავლებას, არ უკავშირდება არც ერთი სასწავლო კურსი ლიტერატურის ისტორიიდან, ისევე როგორც სასწავლო კურსები *ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია* და *ინგლისური პრესა*. თუმცა როგორც ცნობილია ლიტერატურული ტექსტი, ისევე როგორც მისი ანალიზისა და ინტერპრეტაციის ტექნიკები კარგი საშუალებაა სწავლებისა და სწავლის პროცესში დეტალურად და თანმიმდევრულად იქნას აღქმული, როგორც ენობრივი ცვლილებები, ისე ისტორიული და ცივილიზაციური განვითარების ყველა ფაზა, ვინაიდან ტექსტი, მით უფრო წერილობითი არის ერის მეხსიერების ფართო რეზერვუარი;

- შედეგი 3 განიხილავდა ლიტერატურული ჟანრების სპეციფიკას, სადაც შედეგზე გამსვლელად მოხვედრილია მხოლოდ სასწავლო კურსი *ანტიკური ლიტერატურისა და მითოლოგიის მხატვრული სახეები*, თუმცა ცალკეული ერების ლიტერატურები ავითარებენ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში სწორედ სპეციფიურ ლიტერატურულ ჟანრებს. მართებულია, რომ ანტიკურ ლიტერატურაში ფიქსირდება ეპოსისა და ლირიკის ჟანრების ძირითადი სპეციფიკური თავისებურებები, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი იყო იმ სასწავლო კურსების სწავლის მოცემულ შედეგზე მისადაგება, სადაც ნაციონალური ლიტერატურაში გაჩნდა კონკრეტული ჟანრი ან ამა თუ იმ ჟანრის ტიპობრივი ვარიაცია;

- შედეგი 4 განსაზღვრავს კომუნიკაციას ფართო სპექტრის თემატიკაზე B2 დონეზე, რაც ძალიან ზოგადი ჩანაწერია და პრაქტიკულად დასაკორექტირებელი, სახელდობრ, კომუნიკაციაში იგულისხმება არამარტო ზეპირი, არამედ წერილობითი კომუნიკაციაც, რაც დასტურდება მითითებული სასწავლო კურსებითა და მათში მოცემული სწავლების მეთოდებით (აქ მონიშნული ანის პრაქტიკული კურსები» ისევე როგორც ფონეტიკა და არაერთი თეორიული დარგობრივი კურსი, პრაქტიკა და საბაკალავრო პროექტი, თარგმანის სასწავლო კურსი). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში უნდა დაკორექტირდეს ფართო სპექტრის თემატიკა (ამ მიმართულებით საკმარისი იქნებოდა პრაქტიკული კურსები მითითებაც კი!) და უმჯობესია ჩანაწერში დაემატოს განმარტება ფართო სპექტრის დარგობრივ თემატიკაზე, რითაც გამართლებული იქნება დარგობრივი სასწავლო კურსების შეთანადება წინამდებარეს სასწავლო შედეგზე;

- შედეგი 5 - მიმართულია ტექსტის ლინგვისტურ ანალიზზე, თუმცა იმთავითვე უნდა აღნიშნულია, რომ დაშვებულია ტერმინოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ტექსტის ლინგვისტიკის დაკვირვებისა და ანალიზის ობიექტია ტექსტის სახეობა და არა ტექსტის ჟანრი, რაც მოითხოვს შედეგის კორექტირებას უწინარესად. ანალიზებს სხვადასხვა ჟანრის ტექსტს სათანადო ლინგვისტური

ტერმინოლოგიის (შერეული, შედგენილი, დერივაციული) სიტყვების გამოყენებით; ახორციელებს ტექსტის ინტერპრეტაციასა და ადეკვატურ თარგმანს შესაბამის სტილსა და რეგისტრში; ამ შედეგის მისაღწევად ნაკლებად ეფექტურია სასწავლო კურსები: *ენათმეცნიერების შესავალი, შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში, ლექსიკოლოგია (სადაც დაკვირვების ობიექტია ძირითადად სამიზნე ენის ლექსიკა და მათი ანალიზის მეთოდები, მათი ურთიერთმიმართებები)*. თუმცა წინამდებარე შედეგი მიღწევადი შესაძლებელია იყოს სასწავლო კურსებში *პრაქტიკა და საბაკალავრო პროექტი*, თანად დაოსტატების ანუ ე.წ. განმტკიცების დონეზე;

- შედეგი 6 - გულისხმობს საკომუნიკაციოდ აუცილებელი მორფოლოგიურ-სინტაქსურ ანალიზს და მითითებული ამ შედეგის დასაფარავად სასწავლო კურსები: *ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა, ლექსიკოლოგია, ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია, თარგმანის თეორია და პრაქტიკა*; თუმცა ამ შედეგზე გადის ასევე *თანამედროვე სამეცნიერო ბრიტანული ენა*, ისევე როგორც გარკვეულ წილად *პრაქტიკა და საბაკალავრო პროექტი*, რომელთაც უნდა წარმოაჩინოს ერთიანი შედეგი ინგლისურ ენაზე ზეპირი კომუნიკაციის დაოსტატებისა;

- შედეგი 7 - აქცენტი კეთდება ლიტერატურის ისტორიის შესწავლაზე თუმცა სასწავლო კურსებს შორის სწავლის შედეგების სირთულეთა ხარისხი, მიუხედავად როგორც ქვეყნის ერთიანი ლიტერატურის ისტორიის დიაქრონული პროცესის, არამართებულად არის განსაზღვრული, სახელდობრ, ინგლისური ლიტერატურა 1660 წლამდე (გაცნობა), ინგლისური მოთხრობა (ინგლისურად: გაცნობა/გაღრმავება/განმტკიცება), ინგლისური ლიტერატურა 1660-1900 (გაღრმავება), ინგლისური ლიტერატურა 1901-დან დღემდე (განმტკიცება). დაზუსტებას მოითხოვს სასწავლო კურსის ინგლისური მოთხრობა, რომელიც ინგლისურ ენაზე იკითხება და არ არის გამორიცხული, რომ ზემოხსენებულ პერიოდიზაციაში სტუდენტს მის შესახებ უკვე ჰქონდეს გარკვეული ინფორმაცია მათ შესახებ როგორც თეორიული, ისე ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, ამდენად, კურსის კომპეტენციიდან უნდა განისაზღვროს შედეგის სირთულეც. ამას გარდა, ამ შედეგზე დიდი ალბათობით გავა ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის სასწავლო კურსიც, რაც რუკაზე არ არის მონიშნული. მოსალოდნელი და აუცილებელიც იქნებოდა ამ შედეგში საბაკალავრო პროექტის მონიშვნაც, რომლის ფარგლებში არ არის გამორიცხული, რომ სტუდენტს შეესრულებინა მცირე პროექტი კონკრეტული ეპოქის ლიტერატურული ტექსტის ან ავტორის შესახებ, რომლის დროსაც ის წარმოაჩენდა გაღრმავებულ კომპეტენციას ფილოლოგიის ამ ქვედარგში;

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა შესწორდეს სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის, რუკა, რაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პროგრამის სწავლის შედეგების ზუსტი ანალიზისა და მიღწევადობის დადგენისათვის.

პროგრამის ფარგლებში სწავლის შეფასების მექანიზმები გაწერილია საუნივერსიტეტო რეგულაციაში, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული ინდიკატორები, რომლის ფარგლებში დადგენილია შეფასების სამი დონე: **ვერ აკმაყოფილებს (0-50 ქულა)**, **მეტწილად აკმაყოფილებს (51-80 ქულა)**, და **აკმაყოფილებს (81-100 ქულა)**. პროცედურულად პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პირდაპირი მეთოდებით განხორციელდება ორ ეტაპად, რომლის მიხედვით პირველ ეტაპზე მოხდება შედეგების რანჟირება ქულების მიხედვით. ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი. იგი აგრეთვე გადაიხედება იმ შემთხვევაშიც, თუ სტუდენტთა 35%-ზე მეტი მიიღებს (F) ჩაიჭრა/არადაამაკმაყოფილებელ შეფასებას. რეაგირების საჭიროება დადგება ორწლიანი დაკვირვების ფარგლებში ორ შემთხვევაში: ა) ერთსა და იმავე სასწავლო კურსში დადგენილი ზღვრული შედეგის მუდმივი სხვაობის შემთხვევაში; ბ) შეფასების პროცესში ჩართული მხარეების არგუმენტირებული გადაწყვეტილების საფუძველზე. დაკვირვებას ექვემდებარება სავალდებულო სასწავლო კურსები, კერძოდ კი ის კურსები, სადაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. თუმცა როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გადასახედია სასწავლო კურსების კომპეტენციები, რათა დამდგარი შედეგი ზუსტად განსაზღვრავდეს მიზნის მიღწევადობას. ყოველი შედეგისათვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შეფასების კონკრეტული სასწავლო კურსებთან მისადაგებული კრიტერიუმები. ცალკეა მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების

ინდიკატორების რუკაც, სადაც განსაზღვრული სასწავლო კურსისთვის წარმოდგენილია მხოლოდ მისთვის რელევანტური შეფასების კრიტერიუმი. თუმცა მოცემული რუკაც ექვემდებარება კორექტურას, მას შემდეგ, რაც დაზუსტდება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია სტუდენტთა 75%.

საუნივერსიტეტო პროცედურებისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუებიდან დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის გაზიარება ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული განმახორციელებელი პერსონალისა და ყველა დაინტერესებული მხარისათვის. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პრობლემური საკითხის გამოვლენისა და სამიზნე ნიშნულის მიუღწევლობის შემთხვევაში იწყებს შესაბამისი ღონისძიების განსაზღვრასა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვას, რაც რეგულაციებითაც დასტურდება. წინამდებარე პროცესებში ჩართულია დაწესებულების შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი. პროცესებს აკვირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის კოორდინატორთა აქტიური ჩართულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის შესაბამისი რუკები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- შესწორდეს სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკა პროგრამის სწავლის შედეგების ზუსტი ანალიზისა და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევადობის დადგენის მიზნით;

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

➤ პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამა იცავს საქართველოს საკანონმდებლო სტანდარტებით დადგენილ რეგულაციებს და ჰარმონიზებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემასთან (ECTS). აღსანიშნავია, რომ პროგრამა, ძირითადად, მორგებულია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის რეკვიზიტებზე, რაც ასახავს ბალანსს სასწავლო გეგმის შინაარსსა და სირთულეს შორის.

ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის დებულებები შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგულაციებს. პროგრამა სტრუქტურირებულია ისე, რომ მოიცავდეს სულ 240 ECTS კრედიტს, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად:

სავალდებულო კომპონენტები: 180 კრედიტი, მათ შორის:

- უნივერსიტეტის სავალდებულო სასწავლო კურსები – 12 კრედიტი
- ფაკულტეტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 9 კრედიტი
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 159 კრედიტი

არჩევითი კომპონენტები: 60 კრედიტი, მათ შორის:

- უნივერსიტეტის არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი
- ფაკულტეტის არჩევითი სასწავლო კურსები- 8 კრედიტი;
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები – 27 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტები: 15 კრედიტი

პროგრამით გათვალისწინებული საგნები ძირითადად შეესაბამება სწავლების დონეს. პროგრამის შინაარსი ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას. პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს, რომლებიც უმეტესად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამა გარკვეულწილად ითვალისწინებს კვლევის ახალ შედეგებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. მეტ-ნაკლებად დაცულია ბალანსი სალიტერატურო და ენობრივ კომპეტენციათა შემადგენელ საგნებს შორის. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც საგნების ლოგიკური სემესტრული თანამიმდევრობა დარღვეულია, რაც იწვევს კონკრეტული საგნების წინაპირობებთან დაკავშირებულ და შესაბამისი კომპეტენციის (მაგ. ინგლისური ენის ისტორია) დაუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. (იხ. ქვესტანდარტი 2.2.)

უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც სწავლის მიზნობრივი შედეგები ვერ მოიცავს სავალდებულო საგნების სეგმენტში ასახულ ყველა საგანს. მაგალითად, ერთ-ერთი დასახული მიზანია „ბრიტანული ერის ენისა და კულტურის გამორჩეული პროცესების გაგება ისტორიულ დინამიკასთან ერთად“, თუმცა აღნიშნულ სეგმენტში არსებობს თემა სახელწოდებით „ბრიტანული და ამერიკული კულტურა“. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და პროგრამის ძირითად საგნებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა.

სასწავლო გეგმის მიხედვით, სტუდენტები ინგლისური ენის სწავლას იწყებენ B1 დონიდან (ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები I (B1)). უნივერსიტეტმა დააწესა ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარი, რომელიც აბიტურიენტებისგან მოითხოვს ეროვნულ გამოცდაზე 25 ქულის ან უფრო მაღალი ქულის მიღწევას. ასეთ პარამეტრებში დასაფიქრებელია, რომ პოტენციურ სტუდენტებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საკმარისი ენობრივი კომპეტენცია, აღნიშნულ დონეზე სწავლების გასაგრძელებლად.

უფრო მეტიც, უნივერსიტეტის ამჟამინდელი პროგრამა არ მოიცავს ინგლისური ენის ცოდნის ტესტებს სტუდენტების ლინგვისტური შესაძლებლობების დასადგენად და შემდგომში ჯგუფებში მათ ენობრივი კომპეტენციების შესაბამისად გადანაწილებას. ასეთი მიდგომის გამოყენების შემთხვევაში, პროგრამა უფრო მოქნილი იქნება და პრიორიტეტი მიენიჭება სტუდენტთა საუკეთესო ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს ენის ცოდნის შეფასების განხორციელებას უნივერსიტეტის დონეზე, რათა ზუსტად დაადგინოს სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონე, რომელიც შეესაბამება მათ ცოდნასა და უნარებს.

კრიტიკული დაკვირვებით, რომელიც დაფუძნებულია მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზზე, ჩანს, რომ აუცილებელია კურიკულუმში მოცემულ კომპეტენციის მაფორმირებელ საგნებზე კრედიტების განაწილების გადაფასება, ისევე როგორც გამიზნული საგნების საერთო რაოდენობისა, რამეთუ ისინი პოტენციურ გამოწვევას წარმოადგენს პროგრამის გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევაზე.

ამის საპასუხოდ, რეკომენდირებულია სასწავლო გეგმის ყოვლისმომცველი გადახედვა, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს კომპეტენციის მაფორმირებელი მთავარი საგნებისთვის შედარებით მოცულობითი კრედიტების მინიჭებაზე; მაგალითად ისეთი საგნებისთვის, როგორებიცაა „ლინგვისტიკის შესავალი“, „ინგლისური ენის ფილოლოგიის შესავალი“, „ლიტერატურის თეორია“. (იხ. ქვესტანდარტი 2.2.).

კურსები „ინგლისის ისტორია“ და „ბრიტანული და ამერიკული კულტურა“ უნდა იყოს არჩევითი კურსები და არა სავალდებულო კურსები ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამაში. სტუდენტებისთვის უფრო აქტუალური იქნება ლიტერატურის ისტორია ინგლისურ ენაზე. „ბრიტანულ და ამერიკულ კულტურას“ შეუძლია სტუდენტს შესთავაზოს ღირებული შეხედულებები იმ სოციალურ-კულტურულ კონტექსტებზე, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ინგლისური და ამერიკული ლიტერატურა. თუმცა, კურსი „ენა და კულტურა“ უზრუნველყოფს სხვა ინგლისურენოვანი კულტურების (კანადური, ავსტრალიური, ირლანდიური, ახალზელანდიური ინგლისური) ჩართვას.

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების სეგმენტში უნივერსიტეტი ამჟამად იძლევა მხოლოდ ერთ ევროპულ ენას - გერმანულს. ასეთი შეზღუდული შეთავაზება „მეზოჭავს“ იმ სტუდენტებს, რომელთაც სურთ, რომ არჩევით საგნებში მეორე უცხო ენად აირჩიონ გერმანული. უნივერსიტეტს აქვს ენის ცენტრი, სადაც ისწავლება ფრანგული და სხვა ენები; შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის პრობლემას არ წარმოადგენს პროგრამაში გერმანულთან ერთად სხვა ენების ჩართვა, სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდებულია არჩევითი სასწავლო კურსების სეგმენტის გადახედვა და მისი სხვა ენებით გამდიდრება.

უფრო მეტიც, ზოგიერთ საგანს სახელი უნდა გადაერქვას. კონკრეტულად, FCE და სწავლების მეთოდების (TKT) კურსების სათაურებიდან უნდა ამოიღოს "FCE" და "TKT" და ნაცვლად ამისა, უნდა მიენიჭოს უფრო ზოგადი სათაური, როგორიცაა "ზოგადი ინგლისური" და "სწავლების მეთოდები", რამეთუ ეს კურსები სტუდენტებს ტესტირებისთვის არ ამზადებს და არც სერტიფიკატი მოეთხოვებათ კურსის დასრულებისას. უფრო მეტიც, ისინი ყურადღებას ამახვილებენ სწავლების ზოგად მეთოდოლოგიასა და ტესტების მეთოდოლოგიაზე. კურსებს „ინტეგრირებული ინგლისური ენის

უნარები I, ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები II და ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები III“ უნდა ეწოდოს პრაქტიკული ენის კურსი I, პრაქტიკული ენის კურსი II და პრაქტიკული ენის კურსი III, რაც უკეთ წარმოაჩენს ამ კურსების მიზნებს.

პროგრამის შინაარსი, სასწავლო სფეროს სპეციფიკიდან და პროგრამის დონიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს აღწერილი ისე, თითქოს ის ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს. პროგრამა, პირველ რიგში, ორიენტირებულია ქართულენოვან სტუდენტებზე, რაც ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მობილობით შემომავალი სტუდენტებისთვის. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამის შემუშავებაში წვლილი შეიტანა ყველა დაინტერესებულმა მხარემ, თუმცა პროცესს სრულად ხელმძღვანელობდა პროგრამის ხელმძღვანელი. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის, აგრეთვე აკადემიურ და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ ყველა ზემოხსენებულმა დაინტერესებულმა მხარემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროგრამის შექმნასა და განვითარებაში.

პროგრამის ჩარჩო უპირატესად ხაზს უსვამს ინტერნაციონალიზაციის ასპექტებს. კერძოდ, კურიკულუმში ინტეგრირებული გარკვეული კურსები ხელს უწყობს მობილობის შესაძლებლობას როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ფაკულტეტის წევრებისთვის. თუმცა, ინტერნაციონალიზაციის ასპექტების შემდგომი გაუმჯობესებისთვის, მიზანშეწონილია პროგრამაში უცხოელი პროფესორების ჩართვა. ეს ღონისძიება, ერთი მხრივ, გააუმჯობესებს სტუდენტების ენობრივ ცოდნას და, მეორე მხრივ, გააძლიერებს პროგრამის საერთაშორისო პოზიციას.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი უსდ-ს ოფიციალურ ვებსაიტზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ინგლისური ენის ტესტის ჩატარება და სტუდენტების ჯგუფებში ინგლისური ენის ფლობის დონის შესაბამისად მათი გადანაწილება;
- რეკომენდებულია, სახელწოდება შეეცვალოს კურსებს FCE და Teaching Methods (TKT).
- რეკომენდებულია კურსების დახარისხება დარგების მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაში უცხოელი პროფესორების ჩართვა.

- სასურველია, პროგრამის გადახედვა (სასწავლო კურსების სირთულისა და წინაპირობების გათვალისწინებით) და საგნების სემესტრული განაწილების შეცვლა;
- სასურველია, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების სემენტის სხვა ევროპული ენებით გამდიდრება;
- სასურველია, კურსების „ინგლისის ისტორია“ და „ბრიტანული და ამერიკული კულტურა“ სტატუსის შეცვლა და მათ არჩევით კურსებად გადაკვალიფიცირება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი ასათვისებელი დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში წარმოჩენილი შესამჩნევი შედეგებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ შემოთავაზებული კურსები ძირითადად პასუხობს პროგრამის მოსალოდნელ მიზანს. უმეტესწილად, კურსების შედეგები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის ფუნდამენტურ მოთხოვნებს.

პროგრამაში შემავალი საგნების საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათების თანაფარდობა როგორც წესი დაცულია საგნის შინაარსიდან გამომდინარე. მაგალითად, საგანი "ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია" მოიცავს- 6 ECTS-ს (150 საათი), რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: ლექცია - 12 საათი, ჯგუფური მუშაობა - 24 საათი, ინდივიდუალური პრეზენტაცია - 4 საათი, შუალედური და დასკვნითი გამოცდები - საათი, დამოუკიდებელი მუშაობა -106 სთ.

ზოგადად, პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების შინაარსსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის ლოგიკური კავშირი არსებობს. მაგალითად, განვიხილოთ კურსი „ინგლისური ლექსიკოლოგია“; ამ კურსის სწავლის შედეგები მოიცავს სიტყვის ცნების განსაზღვრას, სიტყვის წარმოშობისა და ეგზოტიკური სიტყვების წყაროების დასახელებას, სიტყვის დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობის განსაზღვრას და სიტყვის ორთოგრაფიული და ფონოლოგიური სისტემის აღწერას. კურსის შინაარსი ისეა სტრუქტურირებული, რომ შეესაბამებოდეს პროგრამის ზოგად შედეგებს, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეიძინონ მიზნობრივი ცოდნა და შეხედულებები ზემოთ ხსენებულ ასპექტებთან დაკავშირებით.

თუმცა, არის სასწავლო კურსები, სადაც ასეთი ლოგიკური კავშირები არ არის დაცული და ამკარა; კერძოდ, ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგ. „შესავალი ენათმეცნიერებაში, შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში; შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში“ და ა.შ.) შინაარსი, სწავლები მეთოდები და აქტივობები არ არის რელევანტურად არჩეული, განსაზღვრული და მორგებული. სასწავლო კურსში „ლინგვისტიკის შესავალი“ სტუდენტებს მოეთხოვებათ გარკვეული პრაქტიკული აქტივობების შესრულება; თუმცა, მოწოდებული სილაბუსი საკმარის ბუნდოვანია და არ გვაწვდის ინფორმაციას, თუ რა სახის პრაქტიკულ საქმიანობას ელიან სტუდენტებისგან. უფრო კონკრეტულად, თითოეული სასწავლო კვირის აქტივობების აღწერა ერთი და იგივეა და არ არის მორგებული იმ კონკრეტულ კვირაში გათვალისწინებულ თემაზე. ამ ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა საგნის კურატორს, მაგრამ კურსის კურატორმა მათ მოთხოვნილი ინფორმაცია არ მიაწოდა. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა და ზემოთხსენებულ სილაბუსებში პროგრამის შინაარსისა და მოსალოდნელი შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა;

თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც საგნების ლოგიკური სემესტრული თანმიმდევრობა დარღვეულია, რაც იწვევს კონკრეტული საგნების წინაპირობებთან დაკავშირებულ და შესაბამისი კომპეტენციის დაუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მაგალითად, სასწავლო კურსი - ინტეგრირებული ინგლისური ენის უნარები II (B1+) არის კურსის - "ინგლისური ენის ისტორია" წინაპირობა, ხოლო სახელმძღვანელოების უმეტესობა ინგლისურ ენაზეა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მიმდინარე სასწავლო კურსის წინაპირობების მოდიფიცირება და შესაბამისად მიმდინარე საგნისთვის მინიჭებული სემესტრის შეცვლა.

როგორც 2.1 ქვესტანდარტშია აღნიშნული, კრიტიკული დაკვირვებით, რომელიც დაფუძნებულია მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზზე, ჩანს, რომ აუცილებელია კურიკულუმში მოცემულ კომპეტენციის მაფორმირებელ საგნებზე კრედიტების განაწილების გადაფასება, ისევე როგორც გამიზნული საგნების საერთო რაოდენობისა, რამეთუ ისინი პოტენციურ გამოწვევას წარმოადგენს პროგრამის გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. კერძოდ, ლიტერატურული და ენობრივი კომპეტენციის მაფორმირებელ საგნებში - შესავალი ენათმეცნიერებაში (5 ECTS), შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში (4 ECTS), ლიტერატურის თეორია (4 ECTS), ინგლისური ენის სტილისტიკა (3 ECTS) - არ არის მოცემული იმ რაოდენობის კრედიტები, რაც საკმარისი იქნება მოცემული მასალის ათვისების, გათვალისწინებული აქტივობების შესრულების, ტრანსფერული უნარების განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, კომპეტენციის მაფორმირებელი საგნებისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის გაზრდა.

პროგრამის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებს მოეთხოვებათ საბაკალავრო პროექტის შესრულება ბაკალავრიატის მე-8 სემესტრში. მისი წარმატებით შესრულების შემდეგ კი იღებენ 6 კრედიტს. მე-7 სემესტრში სტუდენტები ვალდებულნი არიან გაიარონ კურსი

„კვლევის მეთოდები და საბაკალავრო პროექტების არქიტექტურა“, რომელიც უნდა დაეხმაროს მათ აღნიშნულ პროექტზე ეფექტურად მუშაობაში. მოწოდებული სილაბუსის გაანალიზების შემდეგ დადგინდა, რომ პროგრამაში ინტეგრირებული სილაბუსი ფოკუსირებულია სოციალურ კვლევებზე და არ არის გათვალისწინებული ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდები. გარდა ამისა, საგნის მიზანია *„სწავლის სტუდენტებს სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებული კვლევის თანამედროვე მეთოდები“*, რაც არ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (კერძოდ, სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა სილაბუსის გადახედვა, მისი მიზნის შეცვლა და იმ სახელმძღვანელოების ინტეგრირება, რომლებიც უშუალოდ ეხება ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდებს.

რიგ სასწავლო კურსებში არ შეინიშნება კავშირი სწავლის მეთოდებს, სწავლის შედეგების მიღწევასა და შეფასების ფორმებს შორის. უმეტეს შემთხვევაში, შეფასების ფორმები არის შაბლონური და მოიცავს პრეზენტაციებს, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს (წერილობითი ფორმა - მაგ. შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში, ინგლისური პრესა, კვლევის მეთოდები და პროექტების არქიტექტურა, ინგლისური ლექსიკოლოგია, ბრიტანული და ამერიკული კულტურა და სხვა.).

მოწოდებულ მაგალითებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს პროგრამის კურსებში მითითებული შედეგების ზუსტად გაზომვის აუცილებლობას. ეს სიზუსტე არსებითია იმისთვის, რომ შეფასების მეთოდები ემთხვეოდეს სასწავლო კურსების მიზნობრივ შედეგებს. შეფასების კრიტერიუმების სიზუსტისა და გამჭვირვალობის ამაღლება შესაძლებელს გახდის პროგრამის შედეგების უფრო ეფექტურად და მეტი სიცხადით შეფასებას. გარდა ამისა, სილაბუსებში შედეგთან დაკავშირებული, უფრო მკაფიო და დეტალური თემების ჩამონათვალის ინტეგრირება, ისევე როგორც ყოველკვირეული თემების ფარგლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების დანერგვა, განსაზღვრული შედეგების წარმატებით მიღწევას მოემსახურება.

პროგრამის მიერ შემოთავაზებულ კურსებში მოწოდებული ლიტერატურის გამოცემის წლები ძალიან მრავალფეროვანია. თითოეული კურსისთვის ლიტერატურის შერჩევა განისაზღვრება ამ კურსის თემებითა და თემებით. გამოცემის წლების ეს ცვალებადობა ასახავს ლიტერატურის შესაბამისობას საგანთან და უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას იმ მასალების ფართო სპექტრზე, რომელიც შეესაბამება კურსის შინაარსს და მიზნებს.

მობილობის პროგრამების შესაძლებლობების გასაზრდელად პროგრამაში რეკომენდებულია ენის პრაქტიკული კურსის ჩართვა, რადგან ცნობილია, რომ ევროპული ჩარჩო რეკომენდაციას უწევს უმაღლეს სასწავლებლებში ინტეგრირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა და რიგ სილაბუსებში პროგრამის შინაარსისა და მოსალოდნელი შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა;
- რეკომენდებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სტრუქტურის გადახედვა მათი წინაპირობების და სემესტრული განლაგების დაზუსტების მიზნით;
- რეკომენდებულია კომპეტენციის მაფორმირებელი საგნების გადახედვა და კრედიტების რაოდენობის გაზრდა;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსი - „კვლევის მეთოდები და პროექტის არქიტექტურა“, შეიცვალოს მისი მიზანი და მასში შეიტანოს ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც უშუალოდ ეხება ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდებს.
- რეკომენდებულია, კურსებისთვის სათანადო სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმების განსაზღვრა, ამ კურსების სპეციფიკის, სირთულისა და ტრანსფერულობის შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამაზე მიღება ხდება რანჟირებულ დოკუმენტში მითითებული ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით. ალტერნატიულად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად, მიღება შეიძლება განხორციელდეს ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და რექტორის დირექტივით, კანონით განსაზღვრული კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის, ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენების სეგმენტში, ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარება სავალდებულო კომპონენტია. კერძოდ, ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატი და რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში არანაკლებ 25 ქულა დააგროვეს.

როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტმა დააწესა ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარი, რომელიც აბიტურიენტებისგან მოითხოვს ეროვნულ გამოცდაზე 25 ქულის ან უფრო მაღალი ქულის მიღწევას. ასეთ პარამეტრებში დასაფიქრებელია, რომ პოტენციურ სტუდენტებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საკმარისი ენობრივი კომპეტენცია, აღნიშნულ დონეზე სწავლების გასაგრძელებლად.

უფრო მეტიც, უნივერსიტეტის ამჟამინდელი პროგრამა არ მოიცავს ინგლისური ენის ცოდნის ტესტებს სტუდენტების ლინგვისტური შესაძლებლობების დასადგენად და შემდგომში ჯგუფებში მათ ენობრივი კომპეტენციების შესაბამისად გადანაწილებას. ასეთი მიდგომის გამოყენების შემთხვევაში, პროგრამა უფრო მოქნილი იქნება და პრიორიტეტი მიენიჭება სტუდენტთა საუკეთესო ინტერესებს.

რეკომენდებულია, ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარის გაზრდა და ენის ცოდნის შეფასების საუნივერსიტეტო დონეზე განხორციელება, რათა სტუდენტები თავიანთი ცოდნისა და უნარების მიხედვით განთავსდნენ ინგლისური ენის ცოდნის შესაბამის დონეებზე.

უნივერსიტეტში სტუდენტების ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია. ეს მეთოდოლოგია ასახავს პროგრამაზე სტუდენტების მიღების საუნივერსიტეტო პროცედურებსა და კრიტერიუმებს. ამ პროცესის დროს ფასდება და განიხილება სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის პროგრამის სპეციფიკური მოთხოვნები, პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ, პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო პირმა, რომელიც ექვემდებარება სამხედრო აღრიცხვას, კანონით დადგენილი წესით, უნდა წარმოადგინოს სამხედრო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის საფუძველზე ჩარიცხვა დასაშვებია სწავლის პირველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის დამტკიცებული აქტითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაყვანა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობები მოცემულია პროგრამის დოკუმენტაციაში და უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ეს ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა,
- უსდ სასწავლო პროცესის დებულება;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია პროგრამების მიხედვით
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში
- მოსწავლეთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უსდ-ს მიერ დაწესებული ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური ზღვარის გაზრდა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
---------------------------------------	--------------------------	-------------------------------------	--------------------------	--------------------------

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ, დამატებითი მასალების გაცნობის და პროგრამის განმახორციელებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, დასტურდება, რომ ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტებს სთავაზობს კვლევის ძირითად კომპეტენციებს. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის ფარგლებში, რამდენიმე კურსი მოიცავს კვლევითი უნარების განვითარების ხელშემწყობ ელემენტებს, როგორცაა ინდივიდუალური პროექტები ან მოხსენებები, როგორც ეს აღნიშნულია ისეთ მოდულებში, როგორცაა "ლიტერატურის შესავალი", "ლინგვისტიკის შესავალი" და "წერის უნარები" და ა.შ.

გარდა ამისა, კვლევისა და ტრანსფერული უნარების გასაუმჯობესებლად, პროგრამა ითვალისწინებს მოდულს სახელწოდებით "პრაქტიკა" (12 ECTS), რომელიც აერთიანებს პროფესიულ ჩართულობას სხვადასხვა დამსაქმებელთან. მემორანდუმები ასახავს პრაქტიკის შესაძლებლობებს, რომლებიც მოიცავს სკოლამდელ დაწესებულებებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ტურისტულ სააგენტოებს და სხვა. თუმცა დაუზუსტებელია თითოეულ ამ დაწესებულებაზე გამოყოფილი სტუდენტთა კვოტები.

დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ მათ სკოლებსა თუ სკოლამდელ დაწესებულებებში, უმეტესად მოუწევთ გაკვეთილების ჩატარება, თუმცა იქამდე ისინი აუცილებლად გაივლიან ტრენინგს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედებს მასწავლებელთა გადამზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, რომლის გარეშეც, საქართველოს კანონმდებლობით, დაუშვებელია სკოლის მასწავლებლად მუშაობა. ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამა სტუდენტებს არ სთავაზობს ასეთ ჩაშენებულ პროგრამას. პროგრამა ასევე არ სთავაზობს სტუდენტებს სწავლების მეთოდოლოგიაზე მუშაობის სავალდებულო კურსებს.

რეკომენდებულია, რომ სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში სწავლების გარდა, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკის გავლის სხვა შესაძლებლობებიც. შესაძლებელია სხვადასხვა სტაჟირების გავლა - მთარგმნელობით ბიუროებში, ტურისტულ სააგენტოებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც საჭიროა ინგლისური ენის მაღალი კომპეტენცია ან დარგობრივი ინგლისური ენა. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რომელსაც არ აქვს გავლილი მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, არ ექნება მასწავლებლად მუშაობის შესაძლებლობა.

გარდა პრაქტიკისა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს საბაკალავრო პროექტს (6 ECTS), რომელიც შეიძლება იყოს როგორც თეორიული, ასევე შემოქმედებითი პროექტი. საკვლევ თემას ირჩევს სტუდენტი და წერილობით წარმოადგენს სემესტრის ბოლოს. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, „საბაკალავრო პროექტის დასრულება ცხადყოფს სტუდენტის მზადყოფნას მოამზადდეს და დაიცვას ნაშრომი პროფესიულ თემაზე, ავლენს უნარ-ჩვევებს,

რომლებიც აუცილებელია წერილობითი ნაშრომის მაღალ აკადემიურ დონეზე მომზადებისა და წარდგენისთვის, ამასთან ერთად ქმნის საფუძველს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისა და სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიხედვით, კურსი „კვლევის მეთოდები და საბაკალავრო პროექტის არქიტექტურა“, რომელიც წინ უძღვის საბაკალავრო პროექტს და რომელმაც უნდა მოამზადოს სტუდენტი ჩასატარებელი კვლევისთვის/პროექტისთვის, ფოკუსირებულია სოციალური კვლევის მეთოდებზე და არ მოიცავს კომპეტენციას სპეციალობის კვლევის მეთოდებში, იქნება ეს ლინგვისტური თუ ლიტერატურული მიმართულების კომპეტენცია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული საგნის შეცვლას და მის ადაპტირებას დარგობრივ საჭიროებებთან. გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამა არ მოიცავს კვლევით კომპონენტს, რამდენადაც სტუდენტებს მოეთხოვებათ ანალიზი და საკუთარი ანალიზის წარდგენა, საკუთარ ინტერპრეტაციებთან ერთად. შესაბამისად, საგანი „კვლევის მეთოდები და საბაკალავრო პროექტის არქიტექტურა“ შეიძლება დაიყოს ორ ცალკეულ კურსად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან
- საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დასრულებისა და დაცვის პროცედურა
- სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში სწავლების გარდა, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკის გავლის სხვა შესაძლებლობებიც.
- კურსი „პრაქტიკა“ შეიძლება გახდეს არჩევითი, ან სწავლების მეთოდოლოგიაზე ფოკუსირებული საგნები (სწავლების მეთოდოლოგია (TKT)) შეიძლება რომ გახდეს სავალდებულო.
- საგანი „კვლევის მეთოდები და საბაკალავრო პროექტის არქიტექტურა“ შეიძლება დაიყოს ორ ცალკეულ კურსად. გარდა ამისა, კურსი „კვლევის მეთოდები“ უნდა გადაიხედოს და მოერგოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდოლოგიის საჭიროებებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო	□	□	x	□

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სილაბუსების თანახმად, ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს სწავლება-სწავლის მრავალფეროვან მეთოდებს:

- დემონსტრირება;
- განხილვა/ დებატები;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- პრაქტიკული დავალებები;
- სწავლება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- გონებრივი იერიში,
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL),
- ჯგუფური (თანამშრომლობითი) მუშაობა;
- ინტერკულტურული მეთოდი, კრიტიკული აზროვნება;
- პროექტის შემუშავება/პრეზენტაცია.

ეს მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე ავითარებს კრიტიკულ და ანალიტიკურ უნარებსა და ავტონომიურობას. გარდა ამისა, ეს მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ასევე ავითარებს მათ ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას (მაგ. პრეზენტაციები, მოხსენებები და ა.შ.). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი კურსი იყენებს შეფასების მსგავს მეთოდებს და მათი აღწერილობები ხშირად მეორდება სილაბუსებში. ამრიგად, მათ აკლიათ მოქნილობა და არ ითვალისწინებენ ინდივიდუალური საგნის თუ სტუდენტის საჭიროებებს. აქედან გამომდინარე, სასურველია გადაიხედოს შეფასების სისტემა ზოგადად და შესაბამისად მოხდეს სწავლების მეთოდების მორგება (ბუნებრივია, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით).

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სემინარებში სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერების მიზნით, ისინი იყენებენ სხვადასხვა ციფრულ პლატფორმას, როგორცაა Kahoot. გარდა ამისა, უნივერსიტეტი იყენებს Moodle- ს და GONI- ს, ონლაინ პლატფორმებს, დავალებების მისაცემად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ზოგადად შეფასების სისტემის გადახედვა და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლების მეთოდების ადაპტირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამა იყენებს შეფასების 100- ქულიან სისტემას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მუშაობის საფუძვლიან შეფასებას. ეს სისტემა მოიცავს ყოველკვირეულ შეფასებებს, შუალედურ გამოცდებს და დასკვნით გამოცდას, და თითოეული მათგანი საერთო შეფასებას შეადგენს. თითოეული კომპონენტისთვის შემუშავებულია შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები, რაც სტუდენტებს აძლევს შეფასების მკაფიო სურათს. გარდა ამისა, პროგრამა შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობას.

ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელდა რამდენიმე ძირითადი დაკვირვება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. ერთი თვალსაჩინო ასპექტია უნივერსიტეტის მზაობა უზრუნველყოს ღია კომუნიკაცია სტუდენტებს, ლექტორებსა და ადმინისტრაციას შორის. სტუდენტთა პრობლემების გადასაჭრელად და სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს უკუკავშირის ისეთ მექანიზმებს, როგორცაა საკონსულტაციო საათები და ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული მონიტორინგი. ეს პროაქტიული მიდგომა ასახავს უნივერსიტეტის სწრაფვას მუდმივი გაუმჯობესებისა და სტუდენტების კმაყოფილებისკენ.

გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ საგნის სწავლის შედეგებს და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. ეს უზრუნველყოფს, რომ შეფასების სტრატეგიები მორგებულია თითოეული კურსის ან საგნის უნიკალურ მახასიათებლებზე, შეესაბამება სწავლის დაგეგმილ შედეგებს, რათა ეფექტურად შეაფასოს სტუდენტთა მიღწევები. პროფესორებს უფლება აქვთ თითოეული საგნის მოთხოვნების შესაბამისად თავად შეარჩიონ შეფასების ტექნიკა, რომელიც ზუსტად ასახავს სტუდენტის მუშაობას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების სისტემა, რომელიც წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის. სტუდენტებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ თავიანთი შეფასების შედეგები და ამის პროცედურები მკაფიოდ არის ასახული და წინასწარ ეცნობება სტუდენტებს, რაც უზრუნველყოფს გასაჩივრების პროცესის გამჭვირვალობას და სამართლიანობას.

სტუდენტების შეფასების გასაჩივრების პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია, რაც გულისხმობს შეფასების შედეგების განხილვას და საჭიროების შემთხვევაში სხვა შემფასებლის მიერ გადაწყვეტილების მიღებას. გარდა ამისა, ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მიღებული შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. უსდ სისტემატურად აანალიზებს შეფასების მონაცემებს, რათა გამოავლინოს სწავლების პრაქტიკის, სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების გასაუმჯობესებელი სფეროები, რაც ხელს უწყობს საერთო საგანმანათლებლო გამოცდილების მუდმივ გაუმჯობესებას.

სტუდენტებმა წინასწარ იციან ნაშრომის აკადემიური სტილის მოთხოვნების შესახებ, რაც გათვალისწინებულია სტუდენტთა ნაშრომების შეფასებისას. ნაშრომის წარდგენამდე, სტუდენტები ეცნობიან აკადემიური სტილის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტებს ესმით და იცავენ მოსალოდნელ სტანდარტებს თავიანთი კვლევითი ნაშრომის წარდგენისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სტუდენტებმა არ იცოდნენ როგორ შეემოწმებინათ მათი ნაშრომები ორიგინალურობაზე, პლაგიატზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა მისცეს სტუდენტებს მკაფიო ინსტრუქციები პლაგიატის გამოვლენის ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ. ამით სტუდენტები შეინარჩუნებენ აკადემიურ კეთილსინდისიერებას და ორიგინალურობას, რაც გადამწყვეტია განათლების სფეროში უნივერსიტეტის მაღალი სტანდარტის შესანარჩუნებლად.

დასასრულს, მართალია უნივერსიტეტის სტრუქტურირებული შეფასების სისტემა, გამჭვირვალე საკომუნიკაციო არხები და უკუკავშირის მექანიზმები ქმნიან ხელსაყრელ სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მაღალ აკადემიურ ხარისხს, მაინც არის გასაუმჯობესებელი სფეროები, კერძოდ, სტუდენტებისთვის მიწოდებული ინფორმაციის ნაკლებობა აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ. უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს ძალისხმევა სტუდენტთა პრობლემების გადასაჭრელად და სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამის შესაბამისობას და გააუმჯობესებს განათლების მიწოდების ზოგად ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - GONI;
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რეაგირება მოახდინოთ იმ ფაქტზე, რომ სტუდენტებს არასაკმარისი ინფორმაცია მიეწოდებათ აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით; უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს ყოვლისმომცველი ზომები, ამ მხრივ სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად და ეთიკური ქცევის ხელშესაწყობად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში სწავლის განმავლობაში, სტუდენტებს უწევენ სრულ მხარდაჭერას და ხელმძღვანელობას, რაც აძლიერებს მათ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის (მათ შორის დეკანები, სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტები, ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორები და პროგრამის ხელმძღვანელები) ერთობლივი ძალისხმევა იმის საუკეთესო მაგალითია, რომ უნივერსიტეტი ორიენტირებულია სტუდენტის წარმატებაზე, იგი ეხმარება მას აკადემიური მიზნების განსაზღვრაში, სასწავლო პროცესებში გარკვევაში და ნებისმიერი აკადემიური თუ ადმინისტრაციული დაბრკოლების გადაჭრაში. ეს მრავალმხრივი მხარდაჭერის სისტემა მკაფიოდ ასახავს, რომ დაწესებულება ქმნის ხელსაყრელ სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდის ზრდას და მიღწევებს.

პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს პროფესორების მიერ საკონსულტაციო საათების გამოყოფა. ყოველი სემესტრის დასაწყისში დეგბა კონსულტაციების გრაფიკი, რაც იმის გარანტია, რომ სტუდენტებს საკმარისი შესაძლებლობები აქვთ იმისთვის, რომ მოიძიონ ინფორმაცია კურსის მასალებისა და საგანმანათლებლო პროცესების შესახებ. საკონსულტაციო საათების გამჭვირვალობა ასახულია სილაბუსებში და წარმოდგენილია ფაკულტეტის შიგნით, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას აკადემიურ პერსონალთან, ამლიერებს თანამშრომლობითი სწავლის გამოცდილებას და პერსონალიზებულ აკადემიურ მხარდაჭერას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ პლატფორმას, „Goni“, რაც სტუდენტებსა და პროფესორ- მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის გადამწყვეტ ინსტრუმენტს წარმოადგენს და ხელს უწყობს ინფორმაციის გავრცელებას. „Goni“ საშუალებით სტუდენტები იღებენ აუცილებელ ინფორმაციას, აქვთ წვდომა კურსის მასალებზე და ერთვებიან ინტერაქტიულ დისკუსიებში.

მიუხედავად მისი ძლიერი მხარეებისა, გამოწვევები მაინც რჩება Moodle პლატფორმის საშუალებით ჩატარებული ელექტრონული გამოცდების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. ტექნიკური ხარვეზები ხშირად აფერხებს საგამოცდო პროცესს, რაც იწვევს დაგვიანებას და შემდგომ სტუდენტთა უკმაყოფილებას. მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულია დეტალური წესები და პროცედურები Moodle- ში გამოცდების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, მათ შორის გაცდენილი გამოცდების აღდგენის მექანიზმები, ყველა სტუდენტის შეუფერხებელი და სანდო შეფასების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მუდმივი გაუმჯობესება.

გარდა ამისა, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან შესაძლებლობებს ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევით საქმიანობაში და მობილობის პროგრამებში. ამ შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სხვადასხვა არხის საშუალებით, როგორცაა ელექტრონული ფოსტა და უნივერსიტეტის შიდა პლატფორმა, რაც ამდიდრებს სტუდენტების სასწავლო გამოცდილებას, ხელს უწყობს გლობალურ ჩართულობას და ამზადებს მათ საერთაშორისო მასშტაბის პროფესიონალური ზრდისთვის.

უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახური გადამწყვეტ როლს თამაშობს კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერაში. დასაქმების ბაზრობებისა და წამყვანი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციების ორგანიზება ხაზს უსვამს, რომ დაწესებულება ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა წარმატებასა და უწყვეტ განათლებაზე, რაც უზრუნველყოფს აკადემიური გარემოდან სამუშაო ძალაზე შეუფერხებელ გადასვლას.

დასასრულს, პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან იგი პრიორიტეტს ანიჭებს სტუდენტთა მხარდაჭერას, ხელს უწყობს მათ ჩართულობას და უზრუნველყოფს მათთვის აკადემიური და პროფესიონალური წინსვლის გზებს. გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრა და მხარდაჭერის მექანიზმების მუდმივი გაძლიერება გააძლიერებს პროგრამის ეფექტურობას და დაეხმარება მას უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება, რომელიც დააკმაყოფილებს მისი სტუდენტური კონტინგენტის მრავალფეროვან საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის წესი;
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება;
- ციფრული მომსახურების განვითარების სამსახურის დებულება;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა "Goni"

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კონსულტაციების განრიგი;
- Moodle-ში გამოცდების ჩატარების წესი;
- დასაქმების ფორუმების ამსახველი მასალები;
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/ დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები

სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. ასევე, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ფორმის მიხედვით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 27 აკადემიური თანამდებობის მქონე აკადემიური პერსონალი. მათ შორის არის 4 პროფესორი, 18 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 3 ასისტენტი, 12 ლექტორი. წარმოდგენილ პირად საქმეებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ აკადემიურ პერსონალს ძირითადად გააჩნია სასწავლო კურსების ჩასატარებლად საჭირო შესაბამისი კომპეტენცია. ამას ძირითადად ადასტურებს ბოლო 5 წლის განმავლობაში დაწერილი სამეცნიერო ნაშრომები ან მათი სხვა აკადემიური საქმიანობა. თუმცა, უფრო დეტალური შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეული რისკის შემცველი სფეროები პროგრამის წარმატებით განხორციელების თვალსაზრისით. კერძოდ:

1. "ბრიტანული და ამერიკული კულტურის" წამყვან ლექტორს არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია ან კვლევის გამოცდილება ბრიტანული კულტურის სფეროში.
2. ანალოგიურად, კურსს "განსხვავებები ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის (ინგლისურად)" ატარებს ლექტორი, რომელსაც არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან კვლევის გამოცდილება იმისთვის, რომ ასწავლოს ბრიტანული და ამერიკული ლინგვისტური განსხვავებები.
3. კურსს - „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ უძღვება ლექტორი, რომელსაც გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება, მაგრამ არ აქვს კვალიფიკაცია საგნის თეორიული ასპექტების სწავლებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ არჩევანი განისაზღვრა მისი პრაქტიკული გამოცდილებით და იმით, რომ იგი იმავე კურსს სხვა უნივერსიტეტში ასწავლის.
4. კურსს - „თანამედროვე ბრიტანულ სალაპარაკო ენა“ უძღვება ლექტორი, რომელსაც არ აქვს დადასტურებული შესაბამისი კვალიფიკაცია ან კვლევის გამოცდილება ამ საგნის სწავლებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ან სხვა კურსებზე რეკომენდებულია შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის შერჩევა.

პროგრამის ხელმძღვანელს მაგისტრის და დოქტორის ხარისხები ამერიკისმცოდნეობაში აქვს დაცული და მისი ნაშრომები ძირითადად ამ სფეროს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავდადებით და

ერთგულად უძღვება დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, უფრო დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გარკვეულ სფეროებში საჭიროა დამატებითი კვალიფიკაცია ან გამოცდილება ინგლისური ენისა და ლიტერატურის დარგში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს დეპარტამენტს. ამდენად, რეკომენდებულია თანახელმძღვანელის თანამდებობის გამოყოფა დეპარტამენტში არსებული ხელმძღვანელის შესავსებად. თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელიც მჭიდროდ შეესაბამება დეპარტამენტის სფეროს.

აღსანიშნავია, რომ გასაუბრებისას თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავების პროცესში და მათი რეკომენდაციები ამა თუ იმ თემაზე სრულად იქნა გათვალისწინებული.

პროგრამა ასევე უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობის ადმინისტრაციული პერსონალით. თვალსაჩინოა ბალანსი აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თუმცა, შეიძლება დაემატოს დარგობრივი ექსპერტიზის მქონე აკადემიური პერსონალი, განსაკუთრებით დარგში დოქტორის ხარისხით, რაც მოგვცემს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ადეკვატურ რაოდენობას.

აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ აკადემიური პერსონალის მიმდინარე დატვირთვა არ ითვალისწინებს კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის საათებს. მართალია, სტუდენტთა საკონსულტაციო საათები ჩათვლილია, მაგრამ პედაგოგთა მთელი სამეცნიერო საქმიანობა არ შედის სამუშაო დატვირთვის ფარგლებში. უნდა ვაღიაროთ, რომ კვლევა და სამეცნიერო საქმიანობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს აკადემიური ხარისხის ამაღლებაში, ამიტომ აუცილებელია უნივერსიტეტმა გადახედოს სამუშაო დატვირთვის სტრუქტურას, ადეკვატურად ასახოს მისი აკადემიური პერსონალის მრავალმხრივი პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს სამართლიანი აღიარება და მხარი დაუჭიროს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით საქმიანობას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	27	12	9	20
- პროფესორი	4	2	2	1
- ასოცირებული პროფესორი	18	3	5	14
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	3	2	0	3
მოწვეული პერსონალი	12	3	2	–
სამეცნიერო პერსონალი				–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები

- პროგრამა
- თვითშეფასების ფორმა
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ყველა კურსისთვის შეირჩეს შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი.
- რეკომენდებულია დეპარტამენტში თანახელმძღვანელის თანამდებობის გამოყოფა, რომელიც შეავსებს არსებულ ხელმძღვანელს. თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელიც მჭიდროდ შეესაბამება დეპარტამენტის სფეროს.
- რეკომენდებულია გადაიხედოს უნივერსიტეტის დატვირთვის სტრუქტურა, რათა ჩაითვალოს კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის საათები, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მრავალმხრივი პასუხისმგებლობის თანაბარ აღიარებას და მხარდაჭერას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია დაემატოს დარგობრივი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, განსაკუთრებით დარგში დოქტორის ხარისხით, რაც მოგვცემს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ადეკვატურ რაოდენობას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია

მაგისტრატურასა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
---	-------------------------	---	----------------------------------

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არ ეხება

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მეცნიერების საქმიანობის შესაფასების ოქმი. ეს პროცედურა გულისხმობს პროფესორების პედაგოგიური, სამეცნიერო კვლევითი და სხვა ინსტიტუციური საქმიანობის დეტალურ შეფასებას. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, დაწესებულება აწესებს სხვადასხვა ჯილდოს, მათ შორის ფინანსურს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცედურა მოიცავს შემდეგს:

- ყოველ სემესტრში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეაფასოს სპეციალობის სულ მცირე 5 სავალდებულო სასწავლო კურსი თითოეული პროგრამის ფარგლებში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეფასებამდე გააცნოს უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს შეფასების კრიტერიუმები და აუხსნას შეფასების შინაარსი და საჭიროება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია წინასწარ აცნობოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ლექციაზე დასწრების შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია ჩაატაროს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესახებ.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს შეფასების ფორმას და კრიტერიუმებს და შედეგებს პირადად აცნობებს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს;
- შეფასება ტარდება ყოველ სემესტრში;
- შეფასება შეიძლება განხორციელდეს სრულად ან შერჩევით პროცესში;
- შეფასების შედეგები კონფიდენციალურია უნივერსიტეტის სხვა აკადემიური/ მოწვეული პერსონალისთვის;

შემდგომი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ყოველწლიურად ატარებს აკრედიტაციისთვის წარდგენილ პროგრამებში ჩართული პერსონალის შეფასებას. ადმინისტრაციულმა წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შეფასების შედეგებს იყენებენ აკადემიური პერსონალის კონკურსების დროს, რაც ფაკულტეტის პროფესიონალური წინსვლის ხელშეწყობისა და წახალისების მექანიზმს წარმოადგენს.

გასაუბრებების დროს პროფესორებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ერაზმუსის პროგრამების პრეზენტაცია, როგორც ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა. ამ დისკუსიებით ასევე დადასტურდა აკადემიური მობილობის შემთხვევები.

დაწესებულებას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა აკადემიური და კვლევითი საქმიანობისთვის ყველა საჭირო რესურსით. უნივერსიტეტის კამპუსიდან და მის ფარგლებს გარეთ (ბიბლიოთეკაში მითითებული სახელისა და პაროლის გამოყენებით) სტუდენტებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ძირითად სამეცნიერო მონაცემთა ბაზებს.

საერთაშორისო საინფორმაციო-ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მიმართა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რათა უნივერსიტეტი ჩაერთულიყო კონსორციუმში, რომელსაც აქვს წვდომა Elsevier- ის მონაცემთა ბაზაზე.

2019 წლიდან ცნობილი გახდა, რომ კონსორციუმი, რომელშიც მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტები იყვნენ ჩართული, გაფართოვდება, კერძო უნივერსიტეტებსაც ექნებათ შესაძლებლობა შეუერთდნენ Elsevier სისტემას და ექნებათ წვდომა მონაცემთა ბაზებზე - Scopus და Science Direct.

2009- 2019 წლებში უნივერსიტეტი გამოსცემდა რეცენზირებად, სამენოვან, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, რომლის ძირითადი მიმართულებებია თანამედროვე პირობებში ეკონომიკის, ბიზნესი, სამართალი, პოლიტიკა, მედიცინა, მედიალოგია და სხვა სფეროების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კვლევა, გაშუქება და გადაჭრის გზების ძიება. 2021 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დაიწყო ორენოვანი ონლაინ ჟურნალის - "სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ჟურნალი" გამოცემა და ა.შ.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/ კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიუჯეტი, ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის სტატისტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურა
- ბრძანება N164- 22 - აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისათვის ერთჯერადი ფულადი პრემიის განსაზღვრის შესახებ.
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების ფორმები
- საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშში იყო წარმოდგენილი და შემდგომ დადასტურდა გასაუბრებების დროს, ბიბლიოთეკას გააჩნია წიგნების მრავალფეროვანი კოლექცია. სავალდებულო კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები ადვილად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ ფორმატში, აკმაყოფილებს აუცილებელ რაოდენობას და ხარისხის სტანდარტებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს ან აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ მოითხოვონ კონკრეტული ტექსტების დიგიტალიზაცია ან ახლის შექმნა. ბიბლიოთეკარები ეხმარებიან სტუდენტებს სხვადასხვა საკითხში, როგორცაა გვერდების სკანირება ან ასლების გაკეთება. დაწესებულება პასუხისმგებელია პროგრამის ბიბლიოთეკის, მასალების, ინფორმაციისა და ციფრული რესურსების განახლებაზე. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკაში ინახება სილაბუსებში მითითებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა და დამატებითი სასწავლო მასალები, რომლებიც აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა GONI ასევე გამოიყენება მასალების ეფექტურად გავრცელებისთვის. პედაგოგებს შეუძლიათ ატვირთონ სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები, დამატებითი სტატიები და საკუთარი სასწავლო მასალები. გარდა ამისა, ენის სემინარებისთვის ხელმისაწვდომია ახალი ლინგვაფონის კაბინეტი.

სტუდენტებისთვის ადვილად ხელმისაწვდომია პერიოდული გამოცემები, ციფრული რესურსები და საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები, რაც ხელს უწყობს მათ გაცნობას დარგის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებთან და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკარი რეგულარულად აცნობს სტუდენტებს რესურსების ხელმისაწვდომობის შესახებ და ასწავლის მათ გამოყენებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტი ბიბლიოთეკაში.
- ვებგვერდი
- გასაუბრებები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4. მატერიალური რესურსები	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5 პროგრამა/ფაკულტეტი/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამით/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა და ანალიზი

საკრედიტაციო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილი იყო როგორც საფაკულტეტი, ისე პროგრამული ბიუჯეტი. საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტირება წარმართება საერთო საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან.

საკრედიტაციო პროცესში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ის ბიუჯეტური მონაცემები, რაც გაწეული იყო დაწესებულების მხრიდან 2023 წელს. საბიუჯეტო ფორმაში გათვლილი იყო მხოლოდ ოპერაციული ხარჯები, მათ შორის შრომის ანაზღაურება ადმინისტრაციული პერსონალის, თარგმანისა და რედაქტირების, პროგრამის აკრედიტაციის, პროგრამის განმახორციელებლით პერსონალის გადამზადების, საკონსულტაციო მომსახურებისა და სხვა დამატებითი ხარჯები. გრძელვადიანი ინვესტიციის ფარგლებში დაწესებულებამ აჩვენა შემდეგი ხარჯები: ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, ტექნიკის, ინვენტარის შეძენისა და ლაბორატორიის მოწყობის ხარჯები, რაც მოცემულ შემთხვევაში გაიწერა პროგრამის მოსამზადებელი პროცესში გაწერილი ცალკეული ამოცანების შესასრულებლად.

კიდევ უფრო დეტალურად იყო წარმოდგენილი საფაკულტეტო ბიუჯეტი, საიდანაც კიდევ უფრო თვალნათლივ ჩანს, თუ რა დამატებითი ხარჯები შეიძლება გაიცეს საგანმანათლებლო პროგრამის ამუშავების შემდგომ პროგრამის განხორციელების მიზნით.

დაწესებულების ადმინისტრაციულ და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრის შემდგომ გამოიკვეთა, რომ დაწესებულებამ ბაზრის მოკვლევის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ინსვესტირება განახორციელოს წინამდებარე პროგრამის ამოქმედების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა რა წარმოდგენილი მასალები გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველი იყო თუნდაც ახალი პროგრამისათვის დაწესებულებას სააკრედიტაციო პორტფოლიოში გაეთვალა პოტენციური ბიუჯეტი ყველა იმ სავარაუდო მონაცემების გათვლით, რაც ზოგადად საჭიროა ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებული განხორციელების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;

სოციალური და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

-მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაწესებულებამ, ახალი საგანმანათლებლო პროგრამისთვის, ყოველთვის წარმოადგინოს პოტენციური ბიუჯეტის დეტალურად ჩაშლილი გამოთვლები, რათა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდეს სრულყოფილი წარმოდგენა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოთვლილი ბიუჯეტის შესახებ, რათა ჩამოაყალიბონ კონკრეტული შეხედულებები პროგრამის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამა/ფაკულტეტი/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების უზრუნველყოფა რესურსებით	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და პროგრამის განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეყრდნობა ქართულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ რეგულაციებსა და ნორმებს, ასევე დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულ მთელ რიგ მნიშვნელოვან რეგულაციებს. დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციები და ნორმები ეფუძნება უნივერსიტეტის მისიას და ღირებულებებს. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორგანიზებას უკეთებს და მართავს სწავლა- სწავლების, კვლევის, მართვისა და მომსახურების პროცესებს. უნივერსიტეტი ავრცელებს ინოვაციებს და გეგმებს, და ანახლებს შეფასების პროცესებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს ორსაფეხურიანი პრინციპით, რომელიც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ცენტრალურ ოფისს და ცალკეული ფაკულტეტების დარგობრივ კოორდინატორებს. ეს კოორდინატორები მაქსიმალურად არიან ჩართულნი მიმდინარე პროცესების განვითარებაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი ამოცანები შემუშავებულია სამი ძირითადი მიმართულებით:

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;
- სასწავლო გამოცდების კრიტერიუმების გაძლიერება და აკადემიური შეფასებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგის ინდიკატორების დახვეწა, რაც საგანმანათლებლო შეფასების ჩარჩოს შემუშავების, განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესის განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენს;
- საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების ორგანიზება და გარე შეფასების პროცესების მომზადება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა დეტალურად არის აღწერილი *შპს- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში* (დამტკიცებულია კანცლერის 2018 წლის 30 აპრილის N01-52 ბრძანებით). მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა *საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუქმების წესი*, ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტი მომზადდა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (ESG) ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და

სახელმძღვანელო პრინციპების, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა რეგულაციების შესაბამისად, რომლებიც მიზნად ისახავს ინსტიტუციური ხარისხის უწყვეტ განვითარებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა განისაზღვრება, როგორც გამჭვირვალე და მუდმივი პროცესი, რომელიც ეყრდნობა აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და ანგარიშვალდებულებას, რაც დაწესებულების უწყვეტი განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. დოკუმენტი ზუსტად არის შედგენილი და მოიცავს სასწავლო დაწესებულების განვითარებისთვის მნიშვნელოვან ყველა დეტალს, როგორცაა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება; საგანმანათლებლო რესურსების, სერვისების შეფასება და გაუმჯობესება.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაეცნო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუქმების პროცედურას. ამ პროცესების სწორი განვითარების საფუძველს წარმოადგენს აკადემიურ პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური და უწყვეტი ჩართულობა, ეს აუცილებელია იმისთვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამები მუდმივად პასუხობდეს უახლეს გამოწვევებს.

აკრედიტაციის პერიოდში ხარისხის სამსახურმა შეისწავლა ახალი დოკუმენტები და რეგულაციები. აღნიშნულ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული არა მხოლოდ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, არამედ ფაკულტეტის ხარისხის დარგობრივი კოორდინატორები. პერსონალის ჩართულობითა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების პროცესი.

ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა და მიღებული შედეგების ანალიზი. შრომის ბაზრის კვლევის მასალების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნება, თუ შრომის ბაზრის წარმოდგენილი შედეგები კვლევებისა და მონაცემების უფრო ფართო სპექტრზე იქნება დაფუძნებული. მომდევნო ეტაპზე თვითშეფასების ჯგუფმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით წარმართა თვითშეფასების პროცესი. შეფასების პროცესში მომზადდა და განისაზღვრა გარკვეული ცვლილებები, რაც ასევე აისახა პროგრამის პორტფოლიოში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეფუძნება საყოველთაოდ დამკვიდრებულ პრინციპს - „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“, რაც საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად ეფექტური შესაძლებლობაა. ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა მოცემული ციკლის გადამწყვეტი აქტივობაა. ამ კვლევის თვისობრივი ნაწილის შესწავლის შედეგად დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა არა მხოლოდ დაადგინა საგანმანათლებლო პროგრამების ძლიერი და სუსტი მხარეები, არამედ მათ მიერ დადგენილი ღონისძიებების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამებში არაერთი სიახლე დანერგა. შიდა შეფასების მასალების გაცნობამ აჩვენა, რომ დაწესებულება შიდა შეფასებას ხედავს გარე შეფასების ერთგვარ წინაპირობად, რაც რეალისტური და განხორციელებადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შპს- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დამტკიცებულია კანცლერის 2018 წლის 30 აპრილის N01-52 ბრძანებით);
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუქმების წესი;

- ბაზრის კვლევა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევა (გამოკითხვები);
- ხარისხის უზრუნველყოფიუს სამსახურის ანგარიშები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს;
- რეალური ვითარება.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის ვორქშოპების რეგულარულად მომზადება, რათა გაეცნონ ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებულ სიახლეებს და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შიდა ხარისხის განვითარებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, უცხოურ და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. უნივერსიტეტი იყენებს გარე ხარისხის შეფასების შემდეგ მექანიზმებს: ა) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ავტორიზაცია და აკრედიტაცია; ბ) პროგრამის სრულყოფის მიზნით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული ქართველი ან/ და უცხოელი კოლეგების კოლეგიალური შეფასება.

ვინაიდან მიმდინარე პროგრამა ახალი იყო, უნივერსიტეტი შეეცედა მის გარე შეფასებას. საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამა შეაფასა 1 უცხოელმა და 2 ქართველმა გარე ექსპერტმა, რომელთა რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებული იყო პროგრამის შემუშავებისას. გარე შეფასებებს დაემატა პროგრამის ანალიზის შედეგები. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა მაქსიმალურად გამოიყენეს გარე შეფასების შედეგები, რამაც საშუალება მისცა თვითშეფასების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფს ზუსტად განესაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამების სუსტი და ძლიერი მხარეები. გარე შეფასების თვალსაზრისით, საგანმანათლებლო პროგრამებმა კარგად გამოიყენეს ენის დაუფლებაში უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი, რომელიც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და მოამზადა ექსპერტთა ჯგუფმა. ხსენებული დოკუმენტი, გარკვეულ წილად, საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტიზაციის პროცესში სახელმძღვანელოდ იქცა.

გარე შეფასების ფარგლებში ექსპერტებმა პროგრამისთვის რამდენიმე რეკომენდაცია გასცეს. ასევე დამსაქმებელთა ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული არაერთი პოზიცია და მოსაზრება, რომლებიც პროგრამაში აისახა.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში დარგობრივი მახასიათებელი უკვე შემუშავებულია, სასურველია დაწესებულებამ ასევე მოამზადოს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების სიღრმისეული შედარებითი ანალიზი, რაც გამოკვეთდა ამ პროგრამის ადგილს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ;
- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის გარე ექსპერტის შეფასებები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუქმების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევა (გამოკითხვები);
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს;
- რეალური ვითარება.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გარე კოლეგიური შეფასების არეალის გაფართოება საქართველოს შრომის ბაზარზე ამ საგანმანათლებლო პროგრამის მართებულობის წარმოჩენის და ინტერნაციონალიზაციის ფარგლების და ხარისხის გაფართოების და განვითარების ახალ ეტაპზე გადაყვანის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაწესებულებამ მოამზადოს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების სიღრმისეული შედარებითი ანალიზი, რათა გამოიკვეთოს ამ პროგრამის ადგილი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. ხარისხის შეფასება	□	x	□	□

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მონიტორინგს და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებას და შესაბამისი ანგარიშის მომზადებას, რომელიც წარედგინება რექტორსა და აკადემიურ საბჭოს. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და მონიტორინგი მიმდინარე პროცესია; თუმცა, სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მონიტორინგის მეთოდოლოგია კონკრეტულ შემთხვევებზე დაყრდნობით და ასეთის არსებობის შემთხვევაში, საგანგებოდ დაიგეგმება მონიტორინგის პროცესი განსახილველი საკითხის შესწავლის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ასევე გარე შეფასების მექანიზმებს. პროგრამის მონიტორინგის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს სპეციალურად მომზადებულ კითხვარებს, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს:

1. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ყოველი სემესტრის ბოლოს;
2. პროგრამის შეფასებას აკადემიური/ მოწვეული პერსონალის მიერ;
3. კურსდამთავრებულთა გამოკითხვას;
4. პოტენციური და რეალური დამსაქმებლების გამოკითხვას;
5. პროგრამის შეფასებას დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

მონიტორინგის პროცესის რამდენიმე ეტაპზე მოწმდება შემდეგი მონაცემები:

- პროგრამისა და მისი ცალკეული კომპონენტების შესაბამისობა;
- სასწავლო მასალის შედარება და ანალიზი სამივე საფეხურზე;
- შეფასების სისტემის ინდივიდუალური კრიტერიუმების მართებულობა სასწავლო კურსებთან მიმართებაში;
- სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასება;
- სასწავლო და საგამოცდო პროცესებზე დაკვირვება;

- გამოცდის შედეგების ანალიზი;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასება;
- სტუდენტთა გამოკითხვის მონაცემების დამუშავება;
- სტუდენტთა სწავლის შედეგების, მათ შორის გამოცდის შედეგების ანალიზი (რომლის მომზადება ხორციელდება ელექტრონული სასწავლო ბაზის საფუძველზე).

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სარეკომენდაციო დოკუმენტს, რომლის შესწავლა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელდება შესაბამის ფაკულტეტებზე ხარისხის დარგობრივი კოორდინატორების ჩართულობით. დაწესებულებაში მონიტორინგის პროცესს სისტემატური ხასიათი აქვს, რაც ნიშნავს, რომ მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი სისტემატურად მიმდინარეობს, შესაბამისად, საკითხის გასაუმჯობესებლად იგეგმება ცალკეული ღონისძიებები, რომელშიც დაინტერესებული მხარეები აქტიურად არიან ჩართულნი.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მონიტორინგის ფარგლებში პროგრამის ფუნქციონირების დაწყებამდე სასურველი იქნებოდა ექსპერტების ყველა რეკომენდაციის განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ შეთავაზებული სასწავლო პროგრამა ახალია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- შპს- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დამტკიცებულია კანცლერის 2018 წლის 30 აპრილის N01-52 ბრძანებით);
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუქმების წესი;
- სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგის მექანიზმები და მათი ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ხარისხის უზრუნველყოფიუს სამსახურის ანგარიშები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს;
- რეალური ვითარება.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ მონიტორინგის ფარგლებში, პროგრამის ფუნქციონირების დაწყებამდე, სასურველია გადახედოთ ექსპერტების მიერ გაკეთებულ ყველა რეკომენდაციას, მიუხედავად იმისა, რომ შეთავაზებული სასწავლო პროგრამა ახალია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხური: ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ნიჰადა დელიბეგოვიჩ ჯანიჩი,
ექსპერტთა ჯგუფის წევრები
რევაზ ტაბატაძე, ხელმოწერა
სოფიო თოთიბაძე,
ნინო ქიმერიძე, ხელმოწერა
ლიკა ყვინჩია, ხელმოწერა